# ნაკადული



140
2005

# პირველკლასელები

ეროვნული ბიბლიოთეკა



**მარიამ ჩადუნელი,** თბილისის ქართულ-გერმანული საავტორო სკოლა



**ირაკლი ღადუა,** ხობის მე-2 საშუალო სკოლა.



**გიგი ჯოხაძე,** თბილისის 53-ე საშუალო სკოლა.



**ნუცა ამაშუკელი,** თბილისის 53-ე საშუალო სკოლა.



**ანი ამბოკაძე,** თბილისის 53-ე საშუალო სკოლა.



თბილისის 51-ე საშუალო სკოლა, ხელმძღვანელი **იზო კეკელიშვილი**

გარეკანის პირველ გვერდზე პირველკლასელი თათია მახარაშვილი, თბილისის 163-ე საშუალო სკოლა

# ნაკადული

საყმაწვილო ჟურნალი
2005 წ. №7

ჩვენი ჟურნალი 1904 წელს სასიქადულო მამულიშვილთა მესვეურობით დაარსებული პირველი ქართული საყმაწვილო ჟურნალის ნაფუძარზეა ამოზრდილი. მოგვიანებით მას სახელი შეეცვალა და „ჯეირანი“ ეწოდა, 1990 წლიდან კი იგი კვლავ თავისი პირვანდელი სახელით გამოდის.

## ნომრის შინაარსი

სკოლა უმდიდრესი საგანძოა (საუბარი თბილისის 51-ე საშუალო სკოლის დირექტორთან) ---------- 3
ნ. ბეჟარაშვილი – თბილი შოთები (მოთხრობა) ---------- 6
„ჩვენი შვილების“ ტრიუმფი ამერიკაში ---------- 9
მსოფლიო კიდით კიდემდე ---------- 11
კირიონ II ---------- 12
ლ. ასათიანი – ლექსები ---------- 14
ჩინეთის იმპერატორის თიხის არმია ---------- 16-17
გალამაზდით! – გვირჩევს ექიმი-კოსმეტოლოგი ლამარა ცუცქირიძე ---------- 18
ტესტი თინეიჯერებისათვის ---------- 19
სკოლა სახელად „ნაკადული“ ---------- 20
ვინ როგორ იცავს თავს? (ბუნების კარი) ---------- 23
ფასანაურის სამუსიკო სკოლა ---------- 24
რეი ბრედბერი – შანსი (მოთხრობა) ---------- 26

რედაქტორი
მანანა გელაშვილი

მისამართი: თბილისი, კოსტავას ქ.14
ტელეფონები: 93-31-81; 93-18-84.
ინდექსი: 0108
ფასი 1 ლარი
რეგისტრირებულია მთაწმინდის სასამართლოში



# „ნაკადულის" საინფორმაციო სააგენტო „ფაქტი"



## მოგზაურობა ტაო-კლარჯეთში

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული მლოცველთა სამსახურისა და გიმნაზიის დირექტორის, ქალბატონ ლელა წიქარიშვილის მესვეურობითა და ხელშეწყობით თბილისის №1 კლასიკური გიმნაზიის მეთერთმეტეკლასელთა ერთმა ჯგუფმა ისტორიულ ტაო-კლარჯეთში იმოგზაურა. ჯგუფს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ლილი ძერია ხელმძღვანელობდა. მოსწავლეებს საშუალება მიეცათ საკუთარი თვალით ეხილათ ის, რაც მხოლოდ სახელმძღვანელოებში წაკითხულით იცოდნენ. მათ ფეხი დადგეს ჟამთა სიავის გამო თურქეთის საზღვრებში მოქცეულ ქართულ მიწა-წყალზე, მოინახულეს ჩვენი უძველესი ძეგლები: ოშკი, ხახული, ბანა, პარხალი, იშხანი, ოთხთა, ხანძთა, დოლისყანა, ტბეთი.

## ამერიკულ ბეისბოლს ჩვენი გოგო-ბიჭებიც ითამაშებენ

თბილისობის ზეიმის დღეებში დედაქალაქის განაპირა რაიონში, 143-ე საშუალო სკოლის ეზოში გაიხსნა არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ კავკასიაში პირველი ბეისბოლისა და სოფტბოლის (ქალთა ბეისბოლის) სპეციალიზებული სტადიონი. ამიერიდან ჩვენს ბავშვებსაც ექნებათ საშუალება ეზიარონ ამერიკაში ძალზე პოპულარული სპორტის ამ სახეობას. სტადიონის გახსნის ცერემონიალს სპორტის მესვეურებთან ერთად საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც დაესწრო.

## ნორჩ მხატვართა გამოფენა-კონკურსი

საქართველოს განათლების სფეროს შემოქმედთა ფონდის მხატვართა გაერთიანება „ხელოვანის", საქართველოს კულტურისა და ტრადიციების დაცვის კავშირისა და თბილისის პოლიტექნიკური კოლეჯის ინიციატივით გამართა ნორჩ მხატვართა და ახალგაზრდა შემოქმედთა ნამუშევრების გამოფენა-კონკურსი დევიზით „მომავალი ჩვენია".

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო თბილისის საშუალო სკოლების მოსწავლეთა 300 ნახატი და თბილისის პოლიტექნიკური კოლეჯის არქიტექტურის სპეციალობის სტუდენტთა სადიპლომო ნამუშევრები.

საუკეთესო ნამუშევრები ჟიურიმ (თავმჯდომარე უშანგი ქადაგიშვილი) დიპლომებითა და სიგელებით დააჯილდოვა. კონკურსის აღმოჩენად მიიჩნიეს თბილისის 106—ე საშუალო სკოლის მოსწავლე ნათია გაბისონია, რომელიც სწორედ ამ ნომინაციაში გამარჯვებისათვის დაჯილდოვდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის საპატიო დიპლომით.

## 32 ათასი აბიტურიენტიდან არასწორად მხოლოდ ორი ჩაირიცხა

საქართველოს განათლების სამინისტროს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის განცხადებით, წელს 32 ათასი აბიტურიენტიდან მხოლოდ ორი ჩაირიცხა არასწორად. მომავალში გამოცდების ჩაბარების სისტემის გასაუმჯობესებლად ცენტრი აპირებს კიდევ უფრო გაუმარტივოს სარეგისტრაციო პროცესი აბიტურიენტებს, მათ არ მოუწევთ სარეგისტრაციო პუნქტში მისვლა, იქვე სააპლიკაციო ფორმის შევსება და საბუთების მიტანა. ეს ყველაფერი სავარაუდოდ განხორციელდება სკოლებში, სადაც აბიტურიენტებს სააპლიკაციო ფორმები დაურიგდებათ. მათ უფრო მეტი დრო მიეცემათ საფიქრელად. აბიტურიენტს შეეძლება სახლში წაიღოს განაცხადის ფორმა, მშობლებთან ერთად კარგად მოიფიქროს ყველაფერი, მანამ, სანამ გადაწყვეტილებას მიიღებს. ისე რომ აბიტურიენტი არსად წასასვლელი არ იქნება, საჭირო პროცედურას ის სკოლაში გაივლის. ამის შემდეგ საბუთები მოგროვდება შეფასების ცენტრში და მთლიან მონაცემთა ბაზა აქ შეიქმნება. აქედანვე დაეგზავნებათ აბიტურიენტებს საგამოცდო ბარათები, რომლებსაც ისინი სკოლაში მიიღებენ.

# სკოლა უმდიდრესი საგანძურა

## ჩვენი სტუმარია თბილისის გალაკტიონ ტაბიძის სახელობის 51–ე საშუალო სკოლა

წარმოგიდგენთ სკოლის დირექტორს, ბატონ დავით ლაგვილავას. დაამთავრა თბილისის ი. ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. 1990-92 წლებში მუშაობდა №187 სკოლაში მასწავლებლად, 12 წელი იმუშავა №143 სკოლის დირექტორად. 2005 წლის მარტიდან არის №51 საშუალო სკოლის დირექტორი.



23692

**– ბატონო დავით, რა სიკეთე მოუტანა დღემდე რეფორმამ ჩვენი ქვეყნის განათლების სისტემას ზოგადად და საკუთრივ იმ სკოლას, რომელსაც თქვენ ხელმძღვანელობთ?**

– ქვეყნის განათლების სისტემის გარდაქმნის პროგრამის მთავარი ორიენტირი განვითარების ახალ გზაზე შემდგარი საქართველოს მომავლის მაშენებელთა მომზადებაა და ვფიქრობ, განათლების კანონპროექტის ხორცშესხმის პროცესში საზოგადოებამ უკვე დაინახა მისი არა ერთი ღირსება. უკვე ცხადია, რომ მასწავლებლებიც და მშობლებიც დარწმუნდნენ – სკოლების იურიდიული სამართლის პირად დაფუძნება წინგადადგმული ნაბიჯია იმ თვალსაზრისით, რომ საზოგადოებას საშუალება აქვს აქტიურად ჩაერთოს სკოლის მართვისა და მონიტორინგის პროცესში. სახე იცვალა სასწავლო გეგმებმა და შესაბამისად გაიზარდა სკოლის თავისუფლება პროგრამების შედგენისა და არჩევის საკითხებში. ძირეულად შეიცვალა დაფინანსების არსებული მოდელი, თანდათან მკვიდრდება მოსწავლის ცოდნის შეფასების ახალი სისტემა, რომელიც მნიშვნელოვნად აადვილებს თითოეული ბავშვის ცოდნის დონის კონტროლს.

მთელი ძალისხმევა ახლა ინტელექტუალური და მაღალზნეობრივი, დამოუკიდებლად მოაზროვნე, ფიქრის, დასკვნის გამოტანის და შესაძლებლობების გამოყენების უნარის მქონე პიროვნების, აქტიური მოქალაქის ჩამოყალიბებისკენ რომ უნდა იყოს მიმართული, ამაში მთელი ჩვენი საზოგადოება დარწმუნდა და სკოლებსაც სწორედ აქეთკენ აქვთ აღებული გეზი. ყველამ თვალნათლივ დავინახეთ რეფორმის პირველი კეთილი ნაყოფი – უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების ახლებურად ჩატარების საუცხოო შედეგი. დარწმუნებული ვარ, რომ რეფორმასთან დაკავშირებული ყველა პროცესის დარეგულირების კვალდაკვალ ჩვენ უფრო და უფრო უკეთეს შედეგებს მოვიმკით...

რაც შეეხება რეფორმით ნაკარნახევ პირველ ცვლილებებს საკუთრივ 51-ე სკოლაში, ამ სკოლას მე გასული წლის მარტიდან ვხელმძღვანელობ და უნდა გითხრათ, რომ მოსვლის დღიდანვე განათლების ახალი კანონის, რეფორმის ჭრილში შესაცვლელ-შესაქმნელი საკმაოდ ბევრი რამ დავინახე. პირველი, რაც თვალში მეცა, სასწავლო დისციპლინის დაბალი დონე იყო. მოქმედებდა ე.წ. კაბინეტური სისტემა, თავისთავად ეს სისტემა იდეალურია და წარმატებით მოქმედებს მრავალ ქვეყანაში, მაგრამ როცა კაბინეტი როგორც ასეთი, საერთოდ არ არსებობს (თითო-ოროლა თუ ჰგავს ოდნავ კაბინეტს), სისტემას კაბინეტურს ნამდვილად ვერ უწოდებ, მასზე უარის თქმით თავიდან ავიცილეთ მოსწავლეების ერთი საკლასო ოთახიდან მეორეში გადასვლა-გადმოსვლა, ამასთან დაკავშირებული ზედმეტი ხმაური და უწესრიგობა. სკოლაში რატომღაც მოქმედებდა ექვსდღიანი სწავლების სისტემა, ხელოვნურად გაბერილი ცხრილებით, გადატვირთული კლასებით.

**– ნუთუ ბავშვები მოდიოდნენ შაბათობით სკოლაში?**

– ცხადია არა, მაგრამ ითვლებოდა, რომ სწავლა შაბათობითაც მიმდინარეობდა. რა თქმა უნდა, ამ მანკიერ პრაქტიკას ბოლო მოვუღეთ და ჩვეულებრივ, ხუთდღიან სასწავლო კვირაზე გადავედით. კიდევ ერთი ყოვლად მიუღებელი მომენტი – სკოლის 1300 მოსწავლიდან 1200 ყოველთვიურად ათ-ათ ლარს, ასე ვთქვათ, „საავტორო მოდელით" სწავლის საფასურს იხდიდა, ამასთან მასწავლებლები ფულს ხელზე იღებდნენ. განსხვავებით ამ იძულებითი ღონისძიებისგან, გასატარებელი ცვლილებებიდან გამომდინარე და მრავალი მომენტის (მასწავლებელთა რაოდენობის უცვლელად შენარჩუნება, კლასების გაყოფა) გათვალისწინებით, გადაწყდა სასწავლო წლის ბოლომდე გვესარგებლა ნებაყოფლობით საწყისებზე აგებული მშობელთა დახმარებით. ეს ყველაფერი ახალ სამართლებრივ ჩარჩოებში მოექცა. შეიქმნა სალარო, შემოღებული იქნა ქვითრების სისტემა.

შეიძლება ცოტა უხერხულიც კი იყოს ამაზე ლაპარაკი, მაგრამ მაინც უნდა ითქვას – სკოლაში ყოვლად დაუშვებელ მდგომარეობაში იყო საპირფარეშოები, არ არსებობდა გოგონებისა და ბიჭებისათვის განკუთვნილი ცალ-ცალკე ტუალეტები, მასწავლებლების ტუალეტი. ესეც მოკლე დროში მოწესრიგდა. ასევე მიუტევებელ დღეში იყო სასკოლო ბუფეტი, დღეს კი შეგვიძლია თავი მოვიწონოთ მთელ ქალაქში ერთ-ერთი საუკეთესო ბუფეტით. გა-





საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა



ლამაზდა ფოიე, შეკეთდა სახურავი, შეიღება ფასადი, მოხერხდა რამდენიმე კლასის გადატიხვრა და ა.შ. სარემონტო სამუშაოები სკოლაში ახლაც მიმდინარეობს.

**– ამდენს როგორ აუდიხართ, რა ძალებითა და ფინანსებით?**

– ძალიან გვეხმარება მერია, სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწესრიგებაში დიდი წვლილი შეიტანეს ბატონებმა გიგი უგულავამ და ქალაქის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსმა კობა სუბელიანმა. არც მშობლების და ჩვენი კურსდამთავრებულების მხარდაჭერა დაგვკლებია. მომავალშიც მათი დიდი იმედი გვაქვს. საქალაქო სამსახური გვპირდება, რომ გაგვირემონტებს და გადაგვიხურავს სპორტულ დარბაზს. იმედი გვაქვს, რომ თანადგომა არც გათბობის სისტემის საზამთროდ მომზადებაში დაგვაკლდება. გარდა ამისა, მერიასთან ასეთი შეთანხმება გვაქვს – 2006 წლის I კვარტლის კომუნალურ გადასახადებს მერია დაგვიფარავს. დაგვეთანხმებით, ეს უდიდესი დახმარება და მხარდაჭერაა, რომლის გარეშეც ვერცერთ ჩანაფიქრს ვერ შევასხამდით ხორცს. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება-გაუმჯობესების საქმეს ხმარდება ჩვენ მიერ სხვადასხვა პროექტებში გამარჯვების შედეგად მოპოვებული გრანტებიც. სწორედ მათი წყალობით გვექნება სულ მალე სათანადოდ აღჭურვილი საპროექციო კაბინეტი, მულტიმედიური საშუალებები, რომლებიც სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაში დაგვეხმარება. ჩვენ ამჟამადაც ვმუშაობთ რამდენიმე პროექტზე, მათ შორისაა „ირმის ნახტომი", და წარმატების იმედიც გვაქვს.

**– ბატონო დავით, თქვენ ბრძანეთ, რომ არცერთი მასწავლებელი არ დაგითხოვიათ სკოლიდან, უფრო მეტიც, მათ ანაზღაურებაც კი გაეზარდათ. როგორ და რის ხარჯზე მოხერხდა ეს?**

– ჯერ ერთი, გაიზარდა ჩვენი კონტინგენტი. გასული სასწავლო წელი სკოლამ 1300 მოსწავლით დაამთავრა, დღეს კი უკვე 1600 მოსწავლე გვყავს.

**– მერედა, იტევს სკოლა ამდენს?**

– ჩვენი შენობა ცოტა უფრო მეტ მოსწავლეზეც არის გათვალისწინებული. რაღაც გარკვეული ფართი უკავია კერძო სასწავლებელს, „ვერის უბნის ლიცეუმს", მაგრამ 25 ნოემბერს ვადა გასდის მასთან თავის დროზე დადებულ ხელშეკრულებას, ისე რომ, ეს ფართიც ისევ სკოლის განკარგულებაში გადმოვა. ეს საშუალებას მოგვცემს V-VI კლასებიც დილის ცვლაში გადავიყვანოთ, ერთ-ორ წელიწადში კი, იმედი გვაქვს, რომ მეორე-მესამე კლასებიც დილის ცვლაში ისწავლიან. მასწავლებლების სრულად დატვირთვის საშუალება კლასების გაყოფამაც მოგვცა. შესაბამისად გამოიკვეთა მათი შრომითი ანაზღაურების ზრდის ტენდენციაც. რაც მეტი მოსწავლე გვეყოლება სკოლაში, მით მეტი იქნება დაფინანსებაც. თანდათან გაიზრდება ვაუჩერების თანხაც, რომელიც ამჟამად 220 ლარს შეადგენს...

რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი – მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწესრიგებაც, მასწავლებლების მდგომარეობის სტაბილურობაც, დისციპლინის გამკაცრებაც – პირველ რიგში მიზნად სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას ისახავს და სიამოვნებით მინდა აღვნიშნო, რომ პირველ შედეგებს უკვე ვხედავთ. უფროსკლასელმა მოსწავლემ უნდა იცოდეს, სად გააგრძელოს სწავლა, რა პროფესია აირჩიოს, საქმიანობის რომელ სფეროში გამოიყენოს თავისი უნარ-ჩვევები, ცოდნა. ვფიქრობთ, ამ მხრივ, მათ ძალიან დაეხმარება ჩვენთან დანერგილი პროფილური სწავლება, რომელიც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს სწორი არჩევანი გააკეთონ. სწავლების მეათე წელს კლასი იყოფა, იქმნება სამი განშტოება: 1) ჰუმანიტარული პროფილი; 2) ზოგადსაგანმანათლებლო უცხო ენების გაღრმავებული სწავლებით; 3) ტექნიკურ-საბუნებისმეტყველო.

პედაგოგ-მასწავლებლების ძლიერი ბირთვი, მათი პროფესიონალიზმი და პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა იმის გარანტიაა, რომ ჩვენი სკოლა წარმატებით განახორციელებს რეფორმით გათვალისწინებულ ყველა სასიკეთო ჩანაფიქრს და ქვეყანას ყოველმხრივ ღირსეულ მოქალაქეებს აღუზრდის. მე ხატოვნად ასე ვიტყოდი – სკოლა ნავთობის მდიდარი საბადოსავით არის, მას უბრალოდ ისეთი ადამიანი სჭირდება ვინც ნავთობს გზასავალს მისცემს და მაშინ ამოხეთქილი „შავი ოქრო" უამრავ სიკეთეს მოიტანს. სკოლაში ძალზე ბევრი რესურსია და ჩვენ უნდა შევძლოთ რესურსების გონივრულად გამოყენება...

2007 წელს თბილისის გალაკტიონ ტაბიძის სახელობის №51 სკოლას 100 წელი უსრულდება და ჩვენ ამთავითვე ვიჭერთ თადარიგს, მოხაზული გვაქვს სავარაუდო პროგრამა. აუცილებლად მოვიწვევთ სხვადასხვა წლების კურსდამთავრებულებს, რომელთა შორის უთუოდ საქართველოს პრეზიდენტიც იქნება. ჩაფიქრებული გვაქვს არა ერთი საინტერესო ღონისძიება. გვინდა, რომ იუბილეს ყოველმხრივ სანიმუშო სკოლის სახელით შევხვდეთ და საამისოდ ძალ-ღონეს არ დავიშურებთ. გვინდა, დავიმსახუროთ სამოდელო სკოლის სტატუსი, ვფიქრობთ, რომ სკოლა, რომელშიც ქვეყნის პრეზიდენტი სწავლობდა, ამას სავსებით იმსახურებს.



# დასამახსოვრებელი სახელები

## არჩილ ჩინჩალაძე:

## „ჩემი დღეები სავსეა მუსიკით“

*პატარაობიდან მომდევს დედაჩემის ნათქვამი: „ქართველ ბიჭებს ბავშვობისათვის არ სცალიათო“... და მოვდივარ ასე – კაცის საფიქრალით, ძველი ქართველების სიყვარულით გადარეული და მომავალ, ძლიერ საქართველოზე მეოცნებე. ჩემი დღეები მუსიკითაა სავსე – უფრო ხალხური და კლასიკური მუსიკით. ვოცნებობ დავუკრა ჩაიკოვსკის პირველი და რახმანინოვის მესამე კონცერტები. მინდა, მსოფლიო მოვიარო; მინდა, საქართველოში არცერთი მათხოვარი არ იყოს, შევძლო ყველას დავეხმარო... იმდენი „მინდა“, რომ ლექსიკონი არ მყოფნის. ახლა გავიფიქრე: ასე მარტო მე კი არა, ალბათ მთელი ჩემი თაობა ოცნებობს...*

*ასე რომ, ერთი ჩვეულებრივი ქართველი ბიჭი ვარ – არჩილ ჩინჩალაძე... გამარჯობათ!*



არჩილი მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ბავშვთა საერთაშორისო ურთიერთობათა კაბინეტის საწრეო მეცადინეობის თემის ამ ნაწყვეტით გავიცანით.

ოთხი წლისა იყო არჩილი, როდესაც პირველად მოისმინა „მუმლი მუხასა“, მერე დედასთან ერთად ღიღინებდა ამ სიმღერას, ბოლოს ფორტეპიანოს მიუახლოვდა და დაიწყო მელოდიის ხმებში აწყობა...

დღეს ზ. ფალიაშვილის სახელობის ქართულ სამუსიკო გიმნაზიაში სწავლობს კონსერვატორიის პროფესორ საშა გარბერთან, არის საქალაქო, რესპუბლიკური და საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი...

არჩილ ჩინჩალაძემ პატარაობიდანვე მიიპყრო მუსიკალური საზოგადოების ყურადღება, დღეს კი ის განსაკუთრებული მუსიკალური მონაცემებით, შესრულების ინდივიდუალური მანერით, მომხიბლავი ბგერით გამორჩეულ პიანისტად არის აღიარებული.

მის რეპერტუარშია ბახის, ჰაიდნის, ბეთჰოვენის, შუმანის, შუბერტის, გრიგის, ლისტის, სკრიაბინის, რახმანინოვის, პროკოფიევის, ბრუბეკის, თაქთაქიშვილის ნაწარმოებები.

დაამთავრა სულხან ცინცაძის მე-16 ხელოვნების სკოლა. ძალიან უყვარს და აფასებს იქაური პედაგოგიური კოლექტივის ყველა წევრს.

არჩილს მამა 4 წლისას გარდაეცვალა, როგორც მუსიკოსი იგი ქეთევან ქოიავამ ჩამოაყალიბა, რომელიც მისი პედაგოგიც იყო და ქველმოქმედიც. მისგან აქვს შრომისმოყვარეობაცა და მიზანსწრაფულობაც.

სიმფონიურ ორკესტრთან I კლასიდანვე უკრავდა საფორტეპიანო კონცერტებს.

შესრულებული აქვს ჰაიდნის, ბახვივალდის, ბალანჩივაძის, მოცარტის, ბეთჰოვენის, გრიგის საფორტეპიანო კონცერტები. ყოველ წელს წარმატებით გამოდიოდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ და მცირე, სიმფონიური ცენტრის, თუ კომპოზიტორთა კავშირის საკონცერტო დარბაზებში, აგრეთვე ე. ახვლედიანის სახელობის ბავშვთა შემოქმედების გალერესა და რ. ფეტვიაშვილის საგამოფენო დარბაზში. საკონცერტო ტურნეში იმყოფებოდა გერმანიაში (ბერლინი, დრეზდენი, მიუნხენი, პოცდამი). მისი კუმირები არიან – რახმანინოვი და ჰოროვეცი. ბახზე კი ამბობს – აზროვნება მასწავლაო.

თავისუფალ დროს კითხულობს, უყვარს ისტორიული და ფილოსოფიური რომანები, მისი საყვარელი მწერლები არიან: ლევან გოთუა, კონსტანტინე გამსახურდია, გურამ დოჩანაშვილი, ალფონს დოდე, ო. ჰენრი, თომას მანი, ოსკარ უაილდი. გარდა ქართულისა, კითხულობს რუსულად და ინგლისურად.

მისი გართობაა ცურვა, მაგიდის ჩოგბურთი. ბოლო დროს წაკითხულის ილუსტრირებამ გაიტაცა (მუშაობს შავი ფანქრით).

არჩილს ძალიან არ უყვარს და ეუხერხულება ლაპარაკი თავის ლაურეატობაზე, წინააღმდეგია იმისა, რომ ამის შესახებ მისი კონცერტის დაწყების წინ აცხადებენ, ამბობს, მსმენელთან ყოველთვის ნულიდან დაწყება ჯობია, მასთან კონტაქტის დამყარებაში არაფერი არ უნდა გიშლიდეს ხელსო. ვფიქრობთ, ეს შტრიხი საუკეთესოდ ახასიათებს მომავალ პროფესიონალ პიანისტს.

ზაფხულის იმ დღეს მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის სარკეებიან დარბაზში არჩილი თავისი სამუსიკო სკოლის, კეთილშობილ ქალთა და ვაჟთა პანსიონის (სადაც ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნას ეუფლება), მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის პედაგოგთა, თუ ქალაქის მუსიკალური საზოგადოების წინაშე სოლო კონცერტით წარდგა.

თეთრი როიალი... და თეთრებში გამოწყობილი მაღალი, თხელი ყმაწვილი... კლავიატურასთან პირველივე შეხება მტკიცე, დამაჯერებელი, ვირტუოზულია. არჩილი სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრთან ერთად უკრავდა გრიგის საფორტეპიანო კონცერტს (ბატონ რევაზ ტაკიძის დირიჟორობით).

ჭაბუკი პიანისტი მუსიკის ენაზე გვესაუბრებოდა და გვხიბლავდა. გვაოცებდა ბახის, ჰაიდნის, ლისტის, რახმანინოვის ნააზრევითა თუ ნაოცნებარით. მღეროდა ნატალია ჩაგანავა (საქართველოს დამს. არტისტი) შუბერტის „ავე-მარიას“, ღვთისმშობელთან გვაახლოვებდა ბორის ლატერის ვიოლინო, არამიწიერად ჟღერდა ალექსანდრე ხოშტარიას ჩელო, არჩილის გრძელი, თლილი თითები კი თითქოს თავიდან „ქსოვდა“ საგალობელს კლავიატურაზე.

მსმენელს მეტის, უფრო ძლიერი ემოციის მოლოდინი აღარ ჰქონდა, მაგრამ გამოცხადდა საღამოს ბოლო ნომერი – ბრუბეკი, „თურქული რონდო“, მეორე როიალთან – შალვა ხოტენაშვილი.

უკრავდნენ ბიჭები, წამიერად როიალს ზემოდან გადახედავდნენ ხოლმე ერთმანეთს, ეს მზერაც და ყველაფერი, რასაც დარბაზში მყოფნი ისმენდნენ და განიცდიდნენ, მოსალოდნელზე მეტი იყო. მსმენელები ფეხზე იდგნენ... დარბაზი ოვაციებს და აღტკინების ცრემლებს ვერ იტევდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

**მოთხრობა**

**ნინო ბეჟარაშვილი**

# თბილი შოთები

**მხატვარი**

**ედუარდ ამბოკაძე**

სალომე ბებიას თონე თითქმის შუა ეზოში ედგა. მსხვილი თხილის წნელით მკვიდრად იყო შემოწნული და ზედ ცეცხლზე ატკრეცილი ფიცრები ეხურა დაფერდებულად. ფიცრებს კი რამდენიმე აგური ედო, რომ ქარს არ გადმოეყარა.

როცა სალომე ბებიას საცხობი ჰქონდა, სახლში ერთი ამბავი იყო. ვინ თონეს ფიცრებს ხდიდა და ღობესთან აწყობდა, ვინ წყალზე გარბოდა დიდი გოზაურით. თვითონ სალომე ბებია კი ამ დროს მარანში იყო და მზემოკიდებული ხელებით ვეება ვარცლში ღონივრად ზელდა ძარღვიან ცომს, თან ბუტბუტებდა: „დაილოცოს, დაილოცოს, რა ყაჭივით ცომიაო“. იქვე პატარა გოგონა იდგა და ასტამით ხან ვარცლის კედელზე მიწებებულ ცომს ფხეკდა, ხან ვარცლის თავზე გაფანტულ ფქვილს საგველით აქუჩებდა.

–შენ კი გენაცვალე, რა კარგად მშველი, ერთი კოხტა კვერი უნდა დაგიკრა, – ეტყოდა ბებია, მერე ცომს ფქვილს მოაფრქვევდა, ხელებით დატკეპნიდა და ოთხად მოკეცილ ძველ, სუფთა სუფრას გადააფარებდა.

ცოტა ხნის შემდეგ ბებია სალომე ცომს პატარაზე ახდიდა საფარებელს, ოთხ გრძელ გაროკილ თითს დააჭერდა ნელა, ფრთხილად, თითქოს ეფერებაო, შეამოწმებდა, გაფუვდა თუ არაო, და შვილს ეტყოდა: „გავახუროთ თონე, გავახუროთ, თორემ ცომი დაგვიმჟავდება და პური ჩაცვივდებაო“. ისინიც მაშინვე ჩაყრიდნენ თონეში დაკუწულ ფიჩხს და ცეცხლს წაუკიდებდნენ. ბურბურით ავარდებოდა ალი, მაღლა ატაცებული ფიჩხის ხმელი ფოთლები ტკაცატკუცს გააბამდა. თუ ზომაზე მეტ ფიჩხს ჩაყრიდნენ, მაშინ კი ისე აჰკრავდა, რომ თონის ახლოს მდგარი ბებერი ლეღვის კენწეროს ფოთლებს უტრუსავდა.

ალი რომ ჩანელდებოდა, სამი-ოთხი კაცი ციმციმ გამოიტანდა ცომით სავსე ვარცლს. ერთ მხარეს თონის პირზე დადებდნენ, მეორეს – იქვე ამართულ ათაბაბის ხნის კუნძზე.

მერე თონეში ღუდღუდა ნაღვერდლებს საჩხრეკით აკოლოლავებდნენ, ზედ წყალში აფშრუკულ ნაცარს მოაყრიდნენ და ტყლაშ... – საფანელში ამოქნილ ცომის გუნდას შემოაწნავდა გავარვარებულ თონეს სალომე ბებია. იმას სხვებსაც მიაყოლებდა, ჩაწკეპავდა, ძირამდე დაამწკრივებდა გრძელ-გრძელ შოთებს.

შოთებს წვერები შეუწითლდებოდა, ყუა გადმოუხუხჩუხდებოდა, ნაკვერცხლებში ჩავარნდილ კუტ პურსაც ნაპირები შემოეწვებოდა და ჰაერი ივსებოდა თბილი პურის გემრიელი სუნით.

სალომე ბებია რამდენიმე ლამაზ პურს ამოხდიდა თონიდან, ხახალზე დააწყობდა, და რომ შენელდებოდა, თონესთან მოფუსფუსე გოგონას ეტყოდა:

–გენაცვალოს ჩემი თავი, ერთი თედო პაპას წაუღე, ერთი ევა ბებოს, რძალი ჩამოსულია ქალაქიდან, თბილი პური ეამება.

–რად უნდათ, ბებო, პური უძევთ, გუშინ და გუშინწინ, არ გამოაცხვეს!

–განა არა აქვთ, შვილო, მტერსაც



ნურა ჰქონია რა, მაგრამ თბილი პური მკვდარსაც მოუნდებაო, იტყვიან ხოლმე.

აბა რაღას იზამდა, გადაიწყობდა თბილ შოთებს მკლავებზე და მიარბენინებდა. ერთს თედო პაპას მიუტანდა, მიირთვით, სალომე ბებიამ გამოგიგზავნათო, – მეორეს – ევა ბაბოს ან ნანუცა ძალოს და ისევ თონისკენ გარბოდა.

პურის ხდას რომ მორჩებოდნენ, თონესთან უბნის გოგო-ბიჭები მოგროვდებოდნენ. თონის კედლებზე ფრჩხილებით ფაფხაჭელებს აძრობდნენ და ახრამუნებდნენ.

სალომე ბებია ყველას მოუტეხავდა თბილ პურს, ხანდახან სათითაო კვერსაც გამოუცხობდა, მაგრამ ისინი მაინც აძრობდნენ ფაფხაჭელებს.

მერე, თონე რომ განელდებოდა, ფიცრებს გადებდნენ. ზედ დასხდებოდნენ და ფეხებს შიგ ჩაკიდებდნენ. ისე ახლოახლოს ისხდნენ, რომ ცხვირი ცხვირთან ჰქონდათ მიტანილი და ჩამთბარ-ჩამტკბრები ყვებოდნენ სხვისგან გაგონილს თუ თავიანთი ფანტაზიით შეთხზულ ამბებს.

ღამდებოდა, ბნელდებოდა, ბებერი ქარსალალა ლეღვები, წოპწოპა ჭანჭურები შავად აილანდებოდნენ, მაღლიდან კი გადმომხობილი ჰქონდათ მოჩითული ზეცა.

სალომე ბებიაც იქვე ახლოს ფუსფუსებდა. ხან ეზოში დაფაჩუნობდა საშინაო ჩუსტებით, ხან მარანში აჩხაკუნებდა რაღაცას. დაღლილ-დაქანცული იყო, ალბათ ერთ რამედ უღირდა ლოგინში ჩაწოლა, თავქვეშ ხელის ამოდება და დაძინება, მაგრამ გოგო-ბიჭების წასვლას ელოდა.

როცა მოსწყინდებოდათ და თონიდან ჩამოხტებოდნენ, ბებია მაშინ მივიდოდა თონის დასახურად, შიშობდა: ვაითუ წვიმა მოვიდეს და თონე დაასველოსო.

აბა, მანამდე უსაქმოდ რა გააძლებინებდა? ან ასტამ-კავს მიუჩენდა უკეთეს ადგილს, ანდა დილისთვის აღარ გადადებდა და განელებულ შოთებს ახლავე გაანწიკწიკებდა ჭერზე ჩამოკონწიალებულ საპურეზე.

მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა. წოპწოპა ჭანჭურები და ლეღვები ახლაც იქ დგანან, ღამეც ისევ არის, ათასნაირი ხმებით სავსე, მაგრამ მაინც ჩუმი, წყნარი ღამე. სალომე ბებია კი აღარა ჩანს, აღარ დაფაჩუნობს საშინაო ჩუსტებით. აღარც ის გოგონა დარბის იმ ეზოყურეზე, ბებიას რომ ეხმარებოდა პურის ცხობაში. გაიზარდა, დაქალდა, სხვაგან აქვს სახლი და ეზოშიც თხილის წნელით შემოწნული კოხტა თონე უდგას.

ჰოდა, ის ქალი პურებს რომ ამოხდის თონიდან, იმ წუთში სალომე ბებია გაახსენდება და თითქოს მის ხმასაც გაიგონებს ხოლმე: „მტერსაც ნურა ჰქონია რა, შვილო, მაგრამ თბილი პური მკვდარსაც მოუნდებაო“.

მართლაც, პურის მეტი რა არის! იმათ სოფელში ახალი მაღაზია გახსნეს, რა დროსაც მიხვალ, როგორიც მოგწონს, ისეთ პურს აირჩევ, მაგრამ ქალი მაინც დაუძახებს შვილებს, მკლავებზე გადაუწყობს გრძელ-გრძელ პურებს და ეტყვის: „ეს იმას წაუღე, ეს იმასაო“.

და ისინიც სიხარულით მიარბენინებენ თბილ შოთებს მეზობლებისაკენ.

# „ეტალონის“ გამარჯვებული რუსთავიდან



დაიბადა 1989 წლის 16 ივნისს, აქვს მეგობრული დამოკიდებულება მშობლებთან, ჰყავს ძალიან ბევრი მეგობარი, უყვარს თეთრი ფერი, ვერ იტანს უსამართლობას, კრიტიკულია როგორც სხვების, ისე საკუთარი თავის მიმართ, მოსწონს ქართული ფილმი „დათა თუთაშხია“, კითხულობს სათავგადასავლო, დეტექტიურ ლიტერატურას, უსმენს კლასიკურ მუსიკას, რეპს და ხალხურ სიმღერებს, გატაცებულია სპორტით, – აი ასეთი გახლავთ 2004 წლის „ეტალონის“ გამარჯვებული ქ. რუსთავიდან ლევან ხუციშვილი.

ლევანი ქ. რუსთავის №2 საშუალო სკოლის მოსწავლეა. 6 წლის იყო, როცა მათი ოჯახი სოფელ დიღმიდან საცხოვრებლად რუსთავში გადმოვიდა. განათლების მისაღებად მშობლებმა ქალაქის ერთ-ერთ პრესტიჟულ სკოლაში მიაბარეს. დედამ სკოლაში მისვლამდე აზიარა ქართულ ანბანს, ბავშვობაშივე ისწავლა ჭადრაკი მამისგან და ბაბუისგან, დადიოდა აღმოსავლურ ორთაბრძოლებზე (კერძოდ კარატეზე), ასევე იტაცებს ფეხბურთი, თუმცა, სერიოზულ დონეზე არ თამაშობს. სკოლაში თითქმის ყველა საგანს წარმატებით სწავლობს, როგორც მისი დირექტორი ქალბატონი ბელა ჯანგიძე ამბობს, ლევანი მეორე სკოლის სიამაყეა.

იმის შესახებ, თუ როგორ გახდა პროექტ „ეტალონის“ გამარჯვებული, ლევანმა თვითონ გვიამბო:

ტელეკომპანია „მზე“ ხშირად აშუქებდა ამ პროექტს, შემდეგ გადაცემა „იმედზე“ გადმოიტანეს, დავინტერესდი და ოჯახმაც მირჩია მონაწილეობის მიღება. ივნისში „ცოდნის კუპონი“ შევავსე და რატომღაც ვიფიქრე, რომ ყველაფერი ამით დავამთავრე. არდადეგებზე სოფელში წავედი (ყაზბეგის რაიონი სოფ. გერგეტი), მინდოდა საგარეულო დღესასწაულს დავსწრებოდი, ამ დროს დამირეკეს მშობლებმა „ეტალონის“ კონკურსში უნდა გახვიდეო და ჩამოვედი. ორი დღე მქონდა შუალედი, რას მოვასწრებდი?! ძირითად საგნებს თვალი გადავავლე და ალალბედზე მივედი. კონკურსი შედგა და წარმატებაც მოვიპოვე. როგორც მითხრეს, სტრატეგიულად ვთამაშობდი – პასუხებს ვაფიქსირებდი, მაგრამ თავს ვიკავებდი. ძალიან ვღელავდი, თუმცა, თურმე გარეგნულად არ მეტყობოდა. სულ 10 კონკურსანტი ვიყავით და „ეტალონის“ დროშა მე მოვიპოვე. მე და ჩემს საყვარელ დამრიგებელს, ისტორიის პედაგოგს ნელი უკლებას სტიპენდიაც დაგვინიშნეს. ემოციები ჯერაც არ გამნელებია. მადლობა სკოლას, მადლობა „ეტალონს“...

ამჟამად კი, როგორც თავად გვითხრა, ლევანს კონკურსებისთვის აღარ სცალია. მისი სამუშაო დღე რვის ნახევარზე იწყება და გვიან ღამით, 3 საათზე მთავრდება. იგი მთელი სერიოზულობით ემზადება უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდებისათვის. მართალია, ჯერ კონკრეტულად არ გადაუწყვეტია, რომელ ფაკულტეტზე ჩააბარებს, თუმცა ძალიან აინტერესებს არქეოლოგია. მისი აზრით, არქეოლოგია და ტურიზმი თითქმის ენათესავებიან ერთმანეთს და როგორც თვითონ გაგვიმხილა, მშობლიურ სოფელში ტურიზმის განვითარების პერსპექტივას ხედავს. ამ ჩანაფიქრს უთუოდ ისტორიის სიყვარული უდევს საფუძვლად, ისტორია კი ქალბატონმა ნელი უკლებამ შეაყვარა. სწორედ ქართული სახელმწიფოს ისტორია, მისი წარსული და აწმყო ასაზრდოებს ლევანის ოცნებას – მუდამ მშვიდობა იყოს გაერთიანებულ და აღორძინებულ საქართველოში.

**მ. ჯანგირაშვილი**

## გაიბუტა, გაიბუტა...

თქვენ გგონიათ ვინმე გაიბუტა? კვირტი გაიბუტა, მოსწყინდა ალბათ ზამთრის სიცივე, ყინვა, თოვლ-ჭყაპი. საოცარია, მზემ რომ გამოანათა, ახლა გაიბუტა. არა, გაბუტულს სულაც არ ჰგავს – ლამაზი სანახავია, გაბერილია, მაგრამ თითქოს სიცილისთვის უნდა გახსნას პირი. სულ მალე თეთრ კაბაში გამოწყობილ ფერიას დაემსგავსა, ტყუილად გვეგონა გაბუტული, შეგვირიგდა, კეთილმა ფერიამ გემრიელი ნაყოფით ჩაგვიტკბარუნა პირი.

## ხელები

ვუცქერ ბებოს დაკოჟრილ, გამრჯე ხელებს და ვხვდები, თუ რამდენი რამ შეუძლიათ ხელებს. ამ ხელებით ეფერებოდა ბებია ჩემს მამიკოს, ამ ხელებით ართავდა და ქსოვდა წინდებს, ამ ხელებით უამრავ საქმეს აკეთებდა. ეს ხელები ახლა მე მეფერებიან, მე მიქსოვენ წინდებს. აღარ შეუძლიათ ამ ხელებსო, წუხს ბებო, მაგრამ კვლავ საქმიანობს ბაღ-ბოსტანში, ეზოსა და სახლში, მინდა, რომ დიდხანს იფუსფუსოს ბებოს ხელებმა.

**ირმა ქიღლაძე,**
**საჩხერის რაიონი, სოფ. ჩიხის საშ. სკოლა, III კლასი.**



გოგონას პორტრეტი.
მარი ქევულავა, საერო სკოლა „სადუნი“. III კლასი

## ფიფქები, ფიქრები

ხელზე ფიფქი დამეკონა,
მოხატული, პატარა,
მალე ციცქნა წვეთად იქცა,
სულ მთლად კი არ გამქრალა.
მას გადნობა როდი სურდა,
მაგრამ სითბომ გაწირა,
წყლის ნაწილად მოაქცია,
დიდი ზეცის ნაწილად.
ამ პაწია ფიფქის თრთოლვა
მუდამ მემახსოვრება,
ვხედავ, ასე, სწორედ ასე
სწრაფად დნება ცხოვრება!..

## ტირიფებო!

ტირიფები – ეს ალაზნის დალალები
მდინარესთან საჭორაოდ მოსულან,
თმები შვენით, მხრებზე ნაზად დაფენილი,
შემოდგომის შესახვედრად მორთულან.
ტანთ იხდიან, შრიალებენ, წყლის ბუტბუტში
მათი სუნთქვა ტალღის ჩქამის დარია,
ტირიფებო, შემოდგომა მოგეახლათ,
რა გამღერებთ, მაინც რა გიხარიათ?
ალბათ, ისევ მოგენატრათ თეთრი ფერი,
ზამთარი რომ დაგამსგავსებთ თოლიებს,
მაშინ არც მე შემაშინებს თოვლი, ქარი,
სიხარულით რადგან ამიყოლიეთ.

## ჩემი კახეთი

ამ ლამაზი გორაკიდან რა არ მოჩანს,
თვალს ახარებს რა ფერები, რა ხედი,
ხელისგულზე, ხელისგულზე დასატევი
ახატული, ჩახატული კახეთი.
ალაზნის ველს ხოხბის კაბა უფრიალებს,
ნიავს იჭერს ტირიფების მახეთი,
მიყურსული, ყურძნის სურნელს განაბვია
ტურფად ტყეებშემრეშილი კახეთი.

**მარიამ დედაბრიშვილი**, ქ. თელავის
მე-4 საშუალო სკოლა, IX კლასი

## წიწილები

„წიავ“, „წიავ“, „წიავ“ –
წივწივებენ წიწილები,
ლამაზები, კოპწიები
ახლად გამოჩეკილები.
დიდხანს დაჰყვეს ბნელ ნაჭუჭში,
ახლა კარი გაჰღებიათ.
ნავარდობენ მწვანე მოლზე,
დედას კუდში დაჰყვებიან.
ეს ერთი კი აბუზულა,
ნეტავ ხომ არ შესცივნია?
მინდა ხელში ავიყვანო,
მაგრამ კრუხის მეშინია.

## ღორმუცელა

ფისუნია კუდრაჭა
ცარიელ პურს არა ჭამს,
პური არის ხმელიო,
გადმომიგდეთ ყველიო.
თუ არ მომცემთ ყველსაო,
სულ ვიცნავლებ დღესაო.
აჰა, ყველის კანიო,
ფისო, რაღად კნავიო?
ძეხვის სუნი მეცაო.
გადმომიგდეთ მეცაო.

## ტრაბახა თაგვი

ერთი თაგვი ტრაბახობდა:
„კატა ჩემი ძმაკაცია“,
უცებ, ძმაკაცს თვალი მოჰკრა,
შიშისაგან გააცია.
თავის მოძმე თაგუნები
გულიანად გააცინა –
ვერ უყურებთ ამ ბაქიას?
რა გმირი და მამაცია!

**გვანცა გრიგალაშვილი**,
თბილისის ე. თაყაიშვილის სახ.
№ 2 გიმნაზია, IV კლასი

# „ჩვენი შვილების" ტრიუმფი ამერიკაში

აშშ-ს ვირჯინიის შტატის ქალაქ ვიენაში ჩატარდა ბავშვთა 35-ე საერთაშორისო ფესტივალი, რომელზეც საქართველოს წარმოადგენდა ქორეოგრაფიული ანსამბლი „ჩვენი შვილები". პატარა ქართველ მოცეკვავეებს უდიდესი წარმატება ხვდათ წილად. მათი ტრიუმფალური გამოსვლების, ზოგადად ფესტივალის შესახებ გვესაუბრება საქართველოს პროფკავშირული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების შემოქმედთა კავშირის თავმჯდომარე **სვეტლანა ჩოჩუა.**






**–ქალბატონო სვეტლანა, რას წარმოადგენს ეს ფესტივალი და როგორ მოხვდა მასზე ქართული ანსამბლი?**

–ბავშვთა საერთაშორისო ფესტივალის ორგანიზატორებისა და მესვეურების მიერ წარმოდგენილ პრეს-რელიზში ძალზედ ლაკონურად იყო ჩამოყალიბებული ფესტივალის არსი და მიზანი: „ბავშვთა საერთაშორისო ფესტივალი „ფერფექსის ოლქის ხელოვნების საბჭოს" სავიზიტო ბარათია, რომლის ისტორია ჯერ კიდევ 1971 წელს იწყება. ეს არის ახალგაზრდა შემსრულებელთა გამოფენა, ვიტრინა და ხელოვნების დახმარებით ჩვენი საოცრად მრავალფეროვანი კულტურების შეჯერების უნიკალური შესაძლებლობა". აღნიშნული ხელოვნების საბჭო კერძო, არაკომერციული კორპორაციაა. ფესტივალიდან მიღებული შემოსავლები „ფერფექსის ოლქის ხელოვნების საბჭოს" პროგრამების რეალიზებას ხმარდება. საბჭოს საზოგადოებრივი დატვირთვა აქვს და მისი მუშაობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება საგანმანათლებლო საქმიანობაა, ამავე ჭრილში განიხილება ბავშვთა საერთაშორისო ფესტივალის მიზანიც. ფესტივალი საშუალებას აძლევს ახალგაზრდა შემსრულებლებს წარმოაჩინონ საკუთარი ქვეყნის ისტორია და კულტურა, პარალელურად კი ამერიკის კულტურასაც გაეცნონ. ჩვენი ანსამბლი წლევანდელ ფესტივალზე პაატა ციქურიშვილის მესვეურობით მოხვდა. ქალაქ ვიენაში არსებობს ბატონი პაატას მიერ შექმნილი პანტომიმის თეატრი, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს მთელ ამერიკაში. სწორედ ჩვენმა თანამემამულე ხელოვანმა მიაწოდა ფესტივალის ორგანიზატორებს ქართველი ბავშვების მიწვევის იდეა. მან ჩვენც გაგვიზიარა თავისი განზრახვა, მოგვიანებით კი ოფიციალური წინადადებაც მივიღეთ, რის შემდეგაც ქ. ვიენაში გავგზავნეთ ვიდეოკასეტები ბავშვთა და მოზარდა ხალხური შემოქმედების IV რესპუბლიკური ფესტივალ-კონკურსის „ჩემი ლამაზი ქვეყანა" გამარჯვებული ანსამბლების გამოსვლების ჩანაწერებით. საერთაშორისო ფესტივალის მონაწილეთა შემრჩევმა კომისიამ არჩევანი შეაჩერა ჩვენს შემოქმედთა კავშირთან არსებულ ქორეოგრაფიულ ანსამბლზე „ჩვენი შვილები", რომლის ხელმძღვანელი რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გოგი ჩაჩავა გახლავთ. ანსამბლში სულ 80 ბავშვია, მაგრამ მოწვევა მათგან მხოლოდ 19-მა მიიღო. პირადად მე ანსამბლს აშშ-ს საკონსულოს გადაწყვეტილებით ვახლდი, როგორც ხელშეკრულების ხელმომწერი პირი.

**–კიდევ რომელი ქვეყნების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ ფესტივალში? ჩვენი ანსამბლის ხელოვნება როგორ შეფასდა?**

–წლევანდელ, მე-5 ფესტივალზე ჩვენ გარდა ჩამოსულები იყვნენ „ბპარატ კალა სანგამის" მოცეკვავე ბავშვები ინდოეთიდან, „ფოლკლორ





ბალე ამერიკენ სქულის“ ახალგაზრდა მოცეკვავეები მექსიკიდან და „წმ. გლორიას ქალჩარალ თრუფის“ წევრები ნიგერიიდან. საოცრად მრავალფეროვანი, საინტერესო სანახაობა იყო – ინდოელმა ბიჭუნებმა წარმოადგინეს ინდოეთის შტატის რაჯასტჰამის ტრადიციული ცეკვები, რომელთა შესრულება დახვეწილ მოძრაობებსა და წონასწორობის დაცვას მოითხოვს. დიდი მოწონება დაიმსახურეს მექსიკელმა ბავშვებმა, რომლებმაც მექსიკის სხვადასხვა რეგიონის ხალხური ცეკვები შეასრულეს. ყველაზე პატარა შემსრულებლები ნიგერიელებმა ჩამოიყვანეს, 6-11 წლის მოცეკვავეებმა დიდი ოსტატობით შეასრულეს ტრადიციული აფრიკული „ზულუს“ და „მეთევზის ცეკვა“.

3500-კაციანი საკონცერტო დარბაზი მუდამ სავსე იყო და მაყურებელი ყველა ნომერს დიდი მოწონებითა და ხმამაღალი აპლოდისმენტებით ხვდებოდა, მაგრამ ის, რაც ჩვენი ანსამბლის გამოსვლას მოჰყვა, ნამდვილი ტრიუმფი იყო.

გამოაცხადეს „ჯორჯია“ და ჩვენმა ბიჭებმა ნამდვილი ცეცხლი დაანთეს სცენაზე. ცეკვა ცეკვას ცვლიდა, გაოგნებული დარბაზი მხურვალე ოვაციებითა და აღტაცების შეძახილებით აჯილდოებდა „ჩვენს შვილებს“, ფეხზე ამდგარნი კვლავ და კვლავ უხმობდნენ ქართველ მოცეკვავეებს სცენაზე. რომლებიც კულისებში ტანსაცმლის გამოცვლასაც კი ძლივს ასწრებდნენ, არამცთუ სულის მოთქმას. განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა „ფარიკაობამ“. ტაში არ წყდებოდა, ყოველ ილეთს აღფრთოვანებულები ხვდებოდნენ, მოცეკვავეებს სცენიდან არ უშვებდნენ. ცეკვას და ცეკვას შო-



რის მაყურებლები სცენაზე ამოდიოდნენ, ჩვენს ბავშვებთან ერთად სურათებს იღებდნენ, უთვალიერებდნენ ჩოხა-ახალუხს, ქამარ-ხანჯალს, „ოსურის“ შემსრულებელს ლაშა ვაჩეიშვილს თხოვდნენ, აბა ახლა დადექი თითის წვერებზეო – უნდოდათ დარწმუნებულიყვნენ, რომ ცერებზე შესადგომად არანაირ ხრიკს არ ხმარობდა. იმდენი საქებარი სიტყვა ითქმოდა, რომ თარჯიმანს გადათარგმნა უჭირდა... და კიდევ – მაყურებლებმა „ჩვენს შვილებს“ ჯენტლმენები შეარქვეს.

მთელი ეს ხანი მუდამ ვგრძნობდით იქაური ქართველების მხარდაჭერას და გულშემატკივრობას. დიდი ყურადღება გამოიჩინა ჩვენმა საელჩომ, საელჩოს აპარატის ყველა მუშაკმა და პირადად კულტურის ატაშემ ოთარ ბერძენიშვილმა, ბატონი ოთარი ყოველდღე, ყველა ღონისძიებაზე ჩვენთან ერთად იყო და მეგზურობას გვიწევდა. ბავშვები ძალიან დაუმეგობრდნენ მას.

„ჩვენი შვილების“ ოსტატობით აღფრთოვანებულმა მასპინძლებმა ხუთვარსკვლავიან სასტუმრო „ჰილტონში“ გაგვიმართეს მიღება, დიდ საბანკეტო დარბაზში ფურშეტი დაგვახვედრეს, რა თქმა უნდა, ბავშვებს ცეკვაც სთხოვეს, მათაც არ აწყენინეს და ამჯერადაც საყოველთაო აღტაცება გამოიწვიეს.

ფესტივალის მონაწილეებისათვის შედგენილი პროგრამის ჩარჩოებში დაგვათვალიერებინეს მუზეუმები, პრეზიდენტთა რეზიდენციები, კენედის ცენტრში დავესწარით კამერული მუსიკის კონცერტს, გვქონდა ბევრი საინტერესო შეხვედრა.

ამ რამდენიმე დღეში სხვადასხვა ქვეყნის ბავშვები ისე დაუახლოვდნენ ერთმანეთს, ისე დამეგობრდნენ, რომ განშორება გაუჭირდათ და ცრემლმორეულები დაემშვიდობნენ ერთმანეთს იმის იმედით, რომ კვლავ შეხვდებიან. ეს იმედი კი მათ მას შემდეგ გაუჩნდათ, რაც პატარა ხელოვანებმა სურვილი გამოთქვეს, ჩამოვიდნენ საქართველოში და მონაწილეობა მიიღონ ჩვენ მიერ ორგანიზებულ ფესტივალებში.

და ბოლოს – ბავშვთა საერთაშორისო ფესტივალზე ტრიუმფალური გამოსვლით „ჩვენი შვილების“ 19-მა მოცეკვავემ ანსამბლს მომავალ ფესტივალზე სრული შემადგენლობით ჩასვლის უფლება მოუპოვა.





# მსოფლიო კიდით კიდემდე

## გერმანია

### ტრიატლონი = ცურვა+ველორბოლა+სირბილი

ბევრი გერმანელი მოსწავლე გატაცებულია ტრიატლონით. ეს არის სპორტი, რომელიც სამ სახეობას – ცურვას, სირბილსა და ველორბოლას აერთიანებს. თავისთავად სამივე ეს სახეობა ცალ-ცალკე დიდ გამძლეობას და ძალღონეს მოითხოვს, ამიტომაც უწოდებენ მათ გამაერთიანებელ ტრიატლონს „რკინის“ ადამიანების სპორტს. ეს სპორტი მისწრებაა იმ გოგო-ბიჭებისთვის, რომლებსაც ცურვაც მოსწონთ, სირბილიც და ველოსპორტიც, მათ შორის არჩევანის გაკეთება კი უჭირთ. ტრიატლონი ანუ „სამი ერთში“ საშუალებას აძლევს მათ ერთდროულად მათთვის სასურველ სამივე სახეობას მისდიონ.

## შოტლანდია

### დიდი პოლიტიკის გაკვეთილები

ქალაქ გლინიგლიდის სიახლოვეს, სადაც მსოფლიოს რვა ქვეყნის პოლიტიკურ ლიდერთა შეხვედრა მიმდინარეობდა, გაიმართა პირველი საერთაშორისო სამიტი „ბავშვები-8“. სამიტის მუშაობაში მონაწილეობდნენ გვინეიდან, ლესოტოდან, სიერა-ლეონედან, იემენიდან, მოლდოვიდან, კამბოჯიდან, ბუტანიდან, ბოლივიიდან, იტალიიდან, გერმანიიდან, საფრანგეთიდან და რუსეთიდან ჩამოსული 11-დან 18 წლამდე ასაკის დელეგატები. მოზარდების ამ თავყრილობაზე წამოყენებული იქნა ბევრი სერიოზული წინადადება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ვებრძოლოთ სიღარიბეს, როგორ უნდა გავაუმჯობესოთ განათლების სისტემა, როგორ უნდა აღვუდგეთ წინ სხვადასხვა დაავადებებს. სამიტის მონაწილეებმა საკუთარი რეკომენდაციები გაუგზავნეს „დიდი რვიანის“ ქვეყნების ლიდერებს. სამიტის ჩარჩოებში გაიმართა შიმშილისა და სიღარიბის საწინააღმდეგო კონცერტი, რომელსაც 50 000-ზე მეტი მაყურებელი დაესწრო.



## ჩინეთი

### 10 წლის სტუდენტი

ათი წლის ჩჰან სინიანი ტიანძის საინჟინრო-პედაგოგიურ უნივერსიტეტში ჩაირიცხა. ბიჭუნა ქვეყანაში ყველაზე ახალგაზრდა სტუდენტია. გენიალურმა ბავშვმა გამოცდებზე 505 ქულა დააგროვა, როცა აუცილებელი მინიმუმი 458 იყო. ის საინფორმაციო ტექნოლოგიას შეისწავლის.

მანამდე რეკორდსმენი იყო ფენ ჰაო, რომელიც 12 წლისა ჩაირიცხა უმაღლესში.

## რუსეთი

### ოთხი დღე პარიზში საუკეთესო პლაკატისთვის

მოსკოვის №737 სკოლის მეოთხეკლასელების პლაკატი საუკეთესოდ ცნეს საავტომობილო კომპანია „რენოს“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში, რომელიც საერთაშორისო პროგრამის „უსაფრთხოება ყველასთვის“ ჩარჩოებში გაიმართა. კონკურსში მსოფლიოს ცხრა ქვეყნის – სლოვენიის, პოლონეთის, თურქეთის, ესპანეთის, შვეიცარიის, რუსეთის, რუმინეთის, საფრანგეთის და პორტუგალიის მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა.

გამარჯვებულმა კლასმა და მისმა დამრიგებელმა ჯილდოდ პარიზში ოთხდღიანი გასეირნება დაიმსახურეს.

## ინდოეთი

### მაიმუნები მოსწავლეებს საჭმელს სტაცებენ

იმის გამო, რომ შენობაში ხშირად ძალიან ცხელა, ინდოეთის მრავალ სკოლაში გაკვეთილები გარეთ, ეზოში ტარდება. მაგრამ თუ გაწვიმდება, ან თუ ეზოში მაიმუნები გამოჩნდებიან და ბავშვებს საჭმელს სტაცებენ (სკოლებში ბავშვებს ნამცხვარს, პურს და ზოგჯერ ბანანებსაც ურიგებენ), მაშინ მეცადინეობა საკლასო ოთახებში გრძელდება.



## ...და შენს სახელს კიდევ ბევრჯერ გამოიხმობს შენი ერი

# კირიონ II

ოთხმოცი წლის წინ, 1918 წლის 26 ივნისს მარტყოფის საპატრიარქო რეზიდენციაში, თავისსავე საწოლ ოთახში მოკლული იპოვეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II. საქართველომ დაკარგა ერთი თავდადებული მამულიშვილი, საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენისათვის დაუცხრომელი მებრძოლი, დიდი მეცნიერი და დიდებული პიროვნება.

აი, რა ჩაუწერია თავის დღიურში ამ ფაქტთან დაკავშირებით დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძეს: „... ხმა დაუყარეს, თავი მოიკლაო!"

პირზე ჭიქა ვერ მიჰქონდა წყლის დასალევად. ასეთი ხელით მწოლიარემ რევოლვერი დაირტყა და თავი მოიკლაო! რევოლვერიც იქვე ეგდო ცხედართან, რევოლვერი დაკეტილი იყო. როგორ, თავი მოიკლა და რევოლვერი დაკეტა, გვერდზე დაიგდო? ასეთი დასკვნა გამოიტანა „გამოძიებამ"... დიდძალი ხალხის თანდასწრებით გადავიხადე პანაშვიდი, ჯერ წარმოვთქვი მეტად აღგზნებული სიტყვა იმის თაობაზე, რომ მოწმე ვიყავი იმ არაადამიანური, გაიძვერული, მეფისტოფელური დევნა-შევიწროებისა, რომელიც წილად ხვდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიურ უფლებებში აღდგენილ მის პირველ კათალიკოზს ეგზარხოსების დროს ჯაშუშ დეკანოზებისა და მექრთამე მოხელეებისაგან"...

მთელმა სამწყსომ მიაცილა კირიონი საუკუნო განსასვენებლამდე, სიონის ტაძრამდე.



კირიონი, ერისკაცობაში გიორგი საძაგლიშვილი 1855 წლის 1 იანვარს დაიბადა გორის მაზრის სოფელ ქვემო ნიქოზში, სასულიერო პირის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება ანანურის საეკლესიო სკოლაში მიიღო, მერე ჯერ გორის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა, შემდეგ კი თბილისისაში. ყმაწვილი გულმოდგინედ ემზადებოდა სამშობლოს სამსახურად – სწავლობდა საქართველოს ისტორიას, ქრისტიანული ეკლესიის წარსულს, იკვლევდა ქართული კულტურის საკითხებს. 25 წლისამ წარჩინებით დაამთავრა კიევის სასულიერო აკადემია და ცოტა ხანს ოდესის სასულიერო სემინარიაში მასწავლებლობდა. საქართველოში დაბრუნებული კი თელავის, გორის, ქუთაისის, თბილისის სასულიერო სემინარიებში ასწავლიდა ყმაწვილებს ქართულ და რუსულ ენებს, საქართველოს და რუსეთის ისტორიას, გეოგრაფიას. 1896 წელს გიორგი საძაგლიშვილი ბერად აღიკვეცა და კირიონის სახელი მიიღო, ორი წლის შემდეგ კი ფრიად განსწავლული, უმწიკვლო პატიოსნებით ცნობილი, სამშობლოს სიყვარულით ანთებული კირიონი ალავერდის ეპარქიის მმართველად დაინიშნა, მოგვიანებით მას გორის ეპისკოპოსობა ებოძა.

რუსეთის სათანადო წრეებს ნიადაგ ყურადღების არეში ჰყავდათ ეს მათთვის არასაიმედო ქართველი და ყოველი მისი ნაბიჯი ზეპირად იცოდნენ. ცხადია, რუსეთს არ ეჭაშნიკა, როცა კირიონმა ქართველი სამღვდელოების მოწინავე ნაწილი შემოიკრიბა და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენი მოღვაწეობა გაშალა. უზადო პიროვნებას ბრალად ვერაფერს სდებდნენ და იმასღა

აზერხებდნენ, რომ ეპარქიებს უცვლიდნენ ხშირად – ჯერ კამენეც-პოდოლსკში გაამწესეს, მერე – ხერსონში, ორიოლში, სოხუმში, როვნოში. მაგრამ თავდადებული მამულიშვილი არა და არ ცხრებოდა, უცხოეთშიც გაათკეცებული ძალისხმევით ირჯებოდა საქართველოს საკეთილდღეოდ. ბოლოს იმდენს მიაღწია, რომ ჯერ თბილისში 1905 წ. გამართულ ქართველი სამღვდელოების კრებაზე, ერთი წლის შემდეგ კი პეტერბურგში სინოდის სხდომაზე ოფიციალურად დაისვა საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი. სინოდის ამ სხდომებზე წარსადგენად კირიონმა ოთხი მოხსენება დაწერა. აბა, ამდენს ვინ აპატიებდა და მომდევნო ექვსი წელი შერისხული კირიონი რეპრესირებული ადამიანის ცხოვრებით ცხოვრობდა – ეპისკოპოსის ხარისხჩამორთმეულს ჟანდარმერიის ზედამხედველობა დაუწესეს. 1908 წელს უეპარქიოდ დაითხოვეს და კურიაჟის მონასტერში გააგზავნეს, იქიდან კი ჟანდარმების თანხლებით – სანაქსარის უდაბნოში. 1912 წელს ხერსონის მონასტერში გადაიყვანეს, სადაც 1915 წლამდე მოღვაწეობდა, იმავე წელს ეპარქიის მმართველობის უფლება დაუბრუნეს და ვიტებსკის ეპარქია ჩააბარეს. რუსეთში მყოფ კირიონს ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია სამშობლოზე ზრუნვა, უჩვეულო ენერგიით საქმიანობდა: თავმჯდომარეობდა სხვადასხვა საზოგადოებას, აწარმოებდა მიწერ-მოწერას, ბევრს კითხულობდა, ეწეოდა მეცნიერულ მუშაობას, წერდა წიგნებს, წერილებს ჟურნალ-გაზეთებისათვის. კირიონის შრომებიდან ყველაზე დიდი გამოხმაურება ჰპოვა წიგნმა: "Культурная роль Иверии в истории Руси" რომელზეც იგი წლების განმავლობაში მუშაობდა. თავდადებით ეძებდა და აგროვებდა ძველ ქართულ ხელნაწერებს, გულმოდგინედ სწავლობდა მუზეუმების, მონასტრების, ბიბლიოთეკების არქივებს. დიდი სიყვარულით კრებდა ძველ თქმულებებს, ლეგენდებს, ზღაპრებს, სიმღერებსა და ანდაზებს. 1909 წ. სანაქსარის უდაბნოში ყოფნისას, კირიონმა გადაწყვიტა, მთელი თავისი ქონება: ხელნაწერები, წიგნები, ხატები, ძველი მონეტები, საარქივო მასალები თბილისის საეკლესიო მუზეუმისთვის შეეწირა. მისივე ძალისხმევით და დაჟინებული ზრუნვით პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში დაარსდა აღმოსავლურ ეკლესიათა ისტორიის კათედრა, რომელიც ქართული ეკლესიის ისტორიასაც შეისწავლიდა. კირიონის წყალობით დაახლოებით 300 ქართველმა ახალგაზრდამ რუსეთსა და ევროპაში მიიღო უმაღლესი განათლება. ძალიანაც რომ ვეცადოთ, ალბათ კირიონის უდიდეს ღვაწლს სრულად მაინც ვერ აღვწერთ. ისევე, როგორც ბოლომდე ჯეროვნად ვერ შევაფასებთ მის პიროვნებას. მოდით ისევ მისივე სიტყვები მოვიშველიოთ: „...ჩემ სიცოცხლეში ჩემი წარმატებისათვის არ მიზრუნია: არც ოქრო იზიდავდა ჩემს გულს და არც ჯილდო. პირადი ჩემი ინტერესები დიდი ხანია უარვყავ. ბევრი უსამართლობა გამომივლია, მაგრამ თანაგრძნობისთვის არავისთვის თავი არ შემიწყევნებია. მტრებისთვის სამაგიერო არ გადამიხდია, თუმცა შემეძლო და გარემოებაც ხელს მიწყობდა. დეე, დროებით იპარპაშონ ცბიერებამ, ორპირობამ და დამბეზღებლობამ, დადგება დრო, უსამართლობა დაითრგუნება, მოისპობა პირისაგან ქვეყნისა და ჭეშმარიტება გამეფდება. მხოლოდ მოთმინება უნდა, მოთმინება – თუმცა საქმე თავად მაინც არ გაკეთდება, ქადები ციდან არ ცვივა. უფალმა ბრძანა: ეძიებდით და ჰპოვებდითო. ძიება არის შრომა ხანგრძლივი და თავდადებული".





# პოეზიის მარგალიტები



# ლადო ასათიანი 1917-1943

* * *

ჩემი ქვეყნის ოქროყანავ, დიდი გარჯით მოწეული,
სიწითლისგან დაბრაწულო, კანდამსკდარო ბროწეულო,
ნაცრისფერი ღრუბლის ძნებო,
ფიჭვის ტევრში გარეულო,
მეგობრებო, მეზობლებო, შინაურო, გარეულო,
ცხენისწყალის ხეობაო, დაღარულო, დასერილო,
ხვავიანო პურის ყანავ, გლეხის ხელით დაწერილო,
ხვამლის მთაზე გადასულო თეთრო ნისლო აფრიანო,
შენი თეთრი ბაირაღი სანამ უნდა აფრიალო?!
ერთო ქალო, თეთრო ქალო, ქალო ბაგეთაფლიანო,
თავთავებით ოქროსფერად მოსირმულო მთავ ფრიალო,
მთებო, მთებო, რუხო მთებო, ნისლების თავსაფრიანნო,
ზვარო, ზვარო, ჯიშიანო, ოჯალეშის ჯიშის ზვარო,
ზვარო მტევნებგიშრიანო, გლეხი კაცის სანუკვარო,
ფიჭვის ტყეო, ფიჭვის ტყეო, ნისლები რომ იტვირთეო,
ნისლის ნამში განბანილო მთაო
გულმკერდგადაშლილო,
მთის გულ-მკერდში დამალულო ოქრო,
ვერცხლო, ქვანახშირო,
საქართველოს სიხარულო – ცხენისწყალო და ენგურო,
და მამულის სიყვარულო, ხალხის გულში დანერგულო;
მშობლიურო მინდორ-ველო, სიცოცხლეო საამურო,
მწვერვალებზე ანამღერო მწყემსი ბიჭის სალამურო,
მოსავალო, ჭირნახულო, დილის ცვარით დანამულო
და ბულბულო ხმაწკრიალავ, ბუჩქნარებში განაბულო,
თვითმფრინავო ცაში ლაღო,
მთებთან ახლო მოფრენილო,
ქვევით ქვეყნის ედემ-ბაღო, ია-ვარდით მოფენილო,
კვახის ლერწო გაბარდულო, ჩაქარვულო ტაროებო,
მიწის მკერდზე გაფანტულო ღელეებო, წყაროებო,
შემოდგომავ შემოქმედო, შემოდგომავ მადიანო,
მტერმა გნახოს, შემოგხედოს, გული დაუდარდიანო!
ცხენისწყალის სანაპიროვ და ღამეო მთვარიანო,
ამღენი ხნის დანაპირო – გოგონავ შავთვალიანო,
აქოჩრილო რთხმელის ტყეო, ბარდებო და იელებო,
მეგობრებო, მეზობლებო, ახოვანო ჯეელებო,
ბედნიერი ხალხის გარჯავ, გმირობის და ძმობის ყანავ,
იძლიეროს მისმა მაჯამ, ვინც დაგთესა, მოგიყვანა!
ჭირნახულით დატვირთულო ბეღლებო და ნალიებო,
გამრჯელისთვის გატენილო, უქნარასთვის ცარიელო,
ხეო, ვაშლით გაფერილო, ტალავერის ჩეროებო,
სამხრეთისკენ გაფრენილო ყელმოღერა წეროებო.
მეგობრებო, მეზობლებო, შინაურო, გარეულო,
ნაცრისფერო ღრუბლის ძნებო,
ფიჭვის ტევრში გარეულო,
ვარდებო და ყვავილებო, ბარდებო და იელებო,
ახოვანო ვაჟკაცებო, უშიშარო ჯეელებო,
კოლხელებო, ქართლელებო, კახელებო, მთიელებო, –
თქვენთვის მინდა ავამღერო ლექსი ჩემი ახლებური,
თქვენთვისა მაქვს გულის კარი
სასიმღეროდ გაღებული,
მინდა ლექსით გესაუბროთ, დაგირხიოთ ხმა სალხენო
და ქართველი მგოსნის ჩანგი ამ სიმღერით ვასახელო!

1936

## კრწანისის ყაყაჩოები

### სამასი არაგველის ხსოვნას

ჰეი, თქვენ, არაგველებო, გაუმაძღარნო ომითა,
თქვენს საფლავებთან მოსვლა და მუხლის
მოდრეკა მომინდა.
შავჩოხიანო ვაჟკაცო, ჭრილობა ხომ არ შეგხსნია?!
ეს სისხლი არის, თუ მართლა ყაყაჩოების ცეცხლია?!
შავჩოხიანო ვაჟებო, ასე რამ გაგახალისათ,
ჟრიალი ხომ არ მოგესმათ ოჟა ჯურხაის ფარისა?!
სიმღერა ხომ არ მოგესმათ პატარა კახის ხმალისა?!
იქნებ, მე თვალი მატყუებს, ზეცა მაბრმავებს კრიალა,
მაშინ თქვენ თვითონ ალსდექით და მარქვით ომახიანად:
თუ არც ყაყაჩოს ცეცხლია და არც ახალი იარა,
მა ეს ბებერი კრწანისი რა ძალამ აბდღიალა?!
ჰეი, თქვენ, არაგველებო, გაუმაძღარნო ომითა,
თქვენს საფლავებთან მოსვლა და მუხლის
მოდრეკა მომინდა.

1940

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რატომ ვამბობთ ასე?

**დორანში ჩავარდნა** – დორანი ჰქვია მყუდრო ადგილს წყალში, სადაც თევზები თავს იყრიან და თუ წააწყდა ადამიანი, მათი დაჭერა ადვილია. როცა გადატანით იტყვიან ხოლმე – მავანი დორანში ჩავარდაო, ეს იმას ნიშნავს, რომ ვიღაცას კარგი ბედი მოუვა, სიმდიდრეს და კარგ ცხოვრებას ეწევა.

**დომხალი** – ალუფხული, უწესრიგო, არეული. დომხალი შეჭამანდია, რომელიც შედგება ერთიმეორეში არეული მხალისაგან.

**დედაბრიანთ ხარი** – ქართლის სოფელ წილკანში დედაბრიშვილების ოჯახს ერთი შავი ხარი ჰყოლია, ზანტი, საქმეზე წასვლა და მუშაობა ესიკვდილებოდა, შინ რომ მოატანდა, გამოიქცეოდა ხოლმე. გამოთქმა „დედაბრიანთ ხარი“ იხმარება ზარმაცი, ზანტი ადამიანის დასახასიათებლად.

**მამაცხონებული** – ბედნიერი, ყოველგვარი სიკეთით სავსე ადამიანი. ჩვენში დამკვიდრებული ტრადიციით, შვილი ვალდებულია მამის სიკვდილის შემდეგ გადაუხადოს მას ყოველი რიგი, რაც მამის სულის სასუფეველში შესვლას, მის ცხოვნებას შეუწყობს ხელს. საიქიოს ცხონება უდიდესი ნეტარებაა ადამიანისათვის და, მაშასადამე, ცხონებული კაცის შვილი, რომელმაც ხელი შეუწყო მამის ცხოვნებას, ბედნიერ, სხვებისთვის მისაბაძ ადამიანად ითვლება.

**მამა გიცხონდა** – ისემც გაიხარე, ისემც დიდი სიკეთე დაგემართოს. ამ სიტყვებს ნიშნის მოგებით ხმარობენ, როცა ერთი ადამიანი მეორეს რაიმეს ედავება და ცდილობს წაართვას, ეს უკანასკნელი კი არ უთმობს და თან დაცინვით ეუბნება: მამა გიცხონდება, რაც შენ ვერაფერი წამართვაო! ანუ, რაკი ვერას წამართმევ, ვერც მამა გიცხონდებაო.

**დაგვალული** – განუვითარებელი, დაჩიავებული, დაბალი. გვალვის, უწვიმობის გამო მცენარეულობა არ იზრდება, ზოგჯერ კი საერთოდ ხმება. გვალვას გადარჩენილი მცენარე კი სრულ ზრდას ვერ აღწევს და ნაყოფსაც ძალზე ცოტას და უხეიროს ისხამს. ასეთ ნათესობაზე იტყვიან, დაგვალულიაო. იგივე გამოთქმა იხმარება ზრდანაკლული, დაბალი საქონლისა და ადამიანის დასახასიათებლადაც.

## რა და რა ჰქვია რას და რას?




## ნაკადული
## სიტყვის კონა



**ეჩო** – პირბრტყელი და თოხივით მოხრილი ხის სათლელი იარაღი, რომელიც ნაფოტებს მთლელისკენ ისვრის.

**ხელეჩო** – ცალი ხელით სახმარი პატარა ეჩო.

**ხელთუკყარი** – ადამიანი, რომელსაც ხელიდან არაფერი გამოსდის.

**ფეფონი** – მარილთან ერთად შესანახად დანაყილი ნიგოზი.

**ჯანღი** – ნისლი, ბურუსი.

**ჩიჩვირი** – ცხენისა და მისნაირთა ქვედა ტუჩი.

**დელგმა** – ძლიერი კოკისპირული წვიმა.

**მურკლი** – ფქვილის პატარა კოშტი ცომში, თათარაში, ფაფაში.

**ნიშველი** – 10-15 წლის ასაკის ვაჟი ან ქალი.

**წარაფი** – 1. წაგრძელებული დაბალი კლდე. 2. ორ ნახნავს შუა დარჩენილი მოუხნავი ადგილი. 3. პატარა მოგრძო ტყე.

# დღეს ჩვენ გიამბობთ...

# ჩინეთის იმპერატორის თიხის არმიაზე



სულ 13 წლის იყო ჩჟენი როდესაც იგი ჩინეთის მმართველი გახდა. ეს მოხდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 246 წელს. ტახტზე ასვლის პირველი დღიდანვე ყმაწვილმა მმართველმა დაქსაქსული ჩინური სამეფოების შემომტკიცება-გაერთიანება დაიწყო. გონიერი და მიზანსწრაფული ჭაბუკი ცეცხლითა და მახვილით მიიწევდა წინ – დაიპყრო ხანის სამეფო, შემოიერთა ჩჟაოს სამეფო, დაიმორჩილა ვეის სამეფო, მიწასთან გაასწორა ჩუს სამეფო, დააჩოქა იანის სამეფო... ხოლო როდესაც ჩვენს წელთაღრიცხვამდე 221 წელს ინ ჩჟენის მოლაშქრეთა წინაშე უკანასკნელი – ცის სამეფოც დაემხო, ძლევამოსილმა გვირგვინოსანმა „ხუანდის“ – იმპერატორის ტიტული მიიღო. ისტორიაში იგი ცინ შიხუანდის – „ცინის პირველი იმპერატორის“ სახელით შევიდა. შიხუანდის ძალისხმევით შექმნილი უზარმაზარი ქვეყანა წყნარი ოკეანიდან ტიბეტამდე, მონღოლეთის სტეპებიდან ახლანდელი ვიეტნამის მიწებამდე იყო გადაჭიმული. ამ უკიდეგანო სივრცეზე შემოღებული იქნა ერთიანი დამწერლობა, მოხდა სიგრძისა და წონის ერთეულების სტანდარტიზაცია. იმპერატორის ბრძანებით განისაზღვრებოდა გზების სიგანეც და მანძილი ორთვალას ბორბლებს შორისაც კი. მრისხანე და დაუნდობელი იმპერატორის მმართველობის წლებში უამრავი ადამიანი გამოესალმა სიცოცხლეს, მაგრამ უზარმაზარი სახელმწიფოს სიძლიერესაც მის ხელში ჩაეყარა საფუძველი.

შიხუანდიმ მმართველობის პირველი დღიდანვე დაიწყო საკუთარი სამარხის აგება. იმპერატორი უკვდავებაზე ოცნებობდა და როგორც ჩანს, თავისი მომავალი საფლავის ირგვლივ იმიტომ განალაგებინა თიხის არმია, რომ ასე სიკვდილის დამარცხების იმედი ჰქონდა. შიხუანდის ბრძანებით, მისი აკლდამის მშენებლობაზე 700 000 ადამიანი მუშაობდა. აშენდა თიხის საგანგებო მრგვალი ღუმელები, თიხის ჯარისკაცების გამოსაწვავად ღუმელებს 950-1050 გრადუსამდე ახურებდნენ, მთლიანად გაიჩეხა ტყეები რამდენიმე პროვინციაში.

ოსტატები ნოტიო ლიოსს კვარცის ქვიშას ურევდნენ და მზა მასას ფორმაში ასხამდნენ, შემდეგ მას გასაშრობად ტოვებდნენ ჩრდილში, თავებს ცალკე ამზადებდნენ. მერე იწყებოდა მრავალსაათიანი გამოწვა... ნეკროპოლს საძირკველი ჩვენს წელთაღრიცხვამდე 210 წელს ჩაეყარა. ცოტა ხნით ადრე იმპერატორმა წყნარი ოკეანის სანაპირო მოიარა. მატიანე მოგვითხრობს, რომ ცინ შიხუანდი გარინდებული მდგარა ნაპირზე და შეშფოთებული უმზერდა ბობოქარ ზღვას. ჩინეთის მბრძანებელი ამ დროს 49 წლის ყოფილა. გადმოცემით, იმ ღამეს იმპერატორს დიდი თევზი



დასიზმრებია, რაც ცუდის მომასწავებელი იყო. დილით მონარქი ცუდად გამხდარა, ცხელებას შეუპყრია. მერე მოულოდნელად დამშვიდებულა და კვლავ დაუძინია. ამჯერად — სამუდამოდ...

1974 წელს არქეოლოგებმა იმპერატორის აკლდამის გათხრებისას მთელი არმია — 7000 მებრძოლი აღმოაჩინეს. გამომწვარი თიხის (ტერაკოტის) ყველა ფიგურა ნატურალური სიმაღლისა იყო. მეომრებს სულ სხვა სახე აქვთ, მოგვიანებით არქეოლოგებმა აკლდამის სხვა ნაწილში კიდევ აღმოაჩინეს თიხის ჯარისკაცები. ერთგან კი საბრძოლო ეტლებზე ამხედრებულ 86 მეომარს მიაკვლიეს. ცხენებიც თიხის იყო.

მთელი თიხის ლაშქარი დასავლეთისკენ იყურება. მას შემდეგ რაც ჩინეთის დასავლეთში მრავალი მიწა დაიპყრო, იმპერატორი სწორედ ამ მხრიდან ელოდა თავდასხმას. თუმცა ტერაკოტის მხედრობა სხვა მხრიდან თავდასხმისთვისაც მზად არის: ყველა დასავლეთისკენ როდი იყურება, ზოგ მათგანს თავი მარჯვნივ აქვს მიბრუნებული, ზოგს კი — მარცხნივ. ისე რომ რომელი მხრიდანაც არ უნდა გამოჩენილიყო მტერი, ჯარისკაცები საიმედოდ დაიცავდნენ მბრძანებელს, ყველაზე საოცარი ის არის, რომ თიხის არმია ნამდვილ საბრძოლო რიგზეა მოწყობილი. თიხის ლაშქრის შესწავლით მეცნიერები ახლა უფრო მეტს გაიგებენ იმის შესახებ, თუ როგორ წარმოებდა ბრძოლები ძველ ჩინეთში.



2 3692



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# გირჩევთ ექიმი-კოსმეტოლოგი ლამარა ცუცქირიძე



გარდა იმისა, რომ ქალბატონი ლამარა დიდებული ექიმი-კოსმეტოლოგია, იგი გახლავთ ესპერანტოს კლუბ „ფლოროს" და საქართველოში ესპერანტოს ერთადერთი მუზეუმის დამფუძნებელი და უცვლელი ხელმძღვანელი 26 წლის განმავლობაში, უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელი, გოგებაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი და კიდევ სხვა მრავალი ტიტულისა თუ წოდების მფლობელი, ესპერანტისტთა რიგი საერთაშორისო კონფერენციებისა და კონგრესების მონაწილე და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია – ბავშვებისა და ახალგაზრდების დიდი მეგობარი.

## გალამაზდით!

ჩემო ძვირფასო გოგონებო, შეგახსენებთ უმარტივეს ჭეშმარიტებას – სილამაზე და ჯანმრთელობა განუყოფელი მცნებებია, ჯანმრთელობა კი უწინარეს ყოვლისა ცხოვრების სწორი წესის, გონივრული რეჟიმის დაცვაა. ყოველთვის გახსოვდეთ, რომ ჯანმრთელობის თავი და თავი რაციონალური კვებაა. დიდი მნიშვნელობა აქვს ძილის ხანგრძლივობასაც, მე გირჩევთ დღე-ღამეში 8-10 საათი იძინოთ. ეცადეთ არც ფიზიკურად გადაიღალოთ და არც გონებრივად – ყველაფერში ზომიერებაა საჭირო. ძალიან კარგი იქნება, თუ თქვენს შესაფერის სპორტის სახეობას შეარჩევთ და რეგულარულად ივარჯიშებთ, ამასთან სულაც არ არის აუცილებელი სპორტსმენი იყოთ – ერთია პროფესიული სპორტსმენობა და მეორეა სპორტულობა. თუ ამის არც სურვილი გაქვთ და არც პირობები, მაშინ დილაობით შინ მაინც შეასრულეთ ხოლმე მარტივი გამამხნევებელი ვარჯიშები.

იმედი მაქვს, რომ ყველა თქვენგანს იმდენი გონიერება ჰყოფნის, რომ თამბაქო არ მოწიოს, საერთოდ კი სამუდამოდ დაიმახსოვრეთ – თამბაქო ჯანმრთელობისა და სილამაზის ერთ-ერთი უპირველესი მტერია.

და კიდევ – სახის კანის ჰიგიენა არ დაგავიწყდეთ.

დამეთანხმებით, რომ სახის კანი სილამაზის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია, ადამიანს



რომ შეხედავთ, თვალში უმალ მისი კარგი თუ ცუდი სახის კანი გეცემათ. დარწმუნებული ვარ, რომ არა ერთ თქვენგანს აწუხებს ლაქებისგან, ფერიმჭამელებისგან, გამონაყარისგან ან ჭორფლისგან, სიმშრალისგან ან ჭარბი ცხიმიანობისგან დაუშნოებული სახის კანი, ამიტომაც დღეს სწორედ კანის გამწმენდ რამდენიმე საშუალებას შემოგთავაზებთ.

### ლოსიონი ლაქებიან-ჭორფლიანი კანისათვის

1 ლიმონი კანიანად (კურკებგამოცლილი) გაატარეთ ხორცის საკეპ მანქანაში, დაასხით 100 გრამი არაყი, დადგით სიბნელეში და გააჩერეთ 1 კვირა. ხანდახან შეანჯღრიეთ. კვირის ბოლოს მიღებული მასა მარლაში გაწურეთ და ყოველ დილა-საღამოს ბამბის ტამპონით გაიწმინდეთ სახე.

### მშრალი კანისათვის

1 სუფრის კოვზ დანაყილ პიტნის ფოთოლს დაასხით 1 ჩაის კოვზი ადუღებული ცხელი წყალი, გააჩერეთ 20 წუთი, გაფილტრეთ, შეინახეთ მომინანქრებულ ან შუშის ჭურჭელში. გაიწმინდეთ ხოლმე სახე დილით და საღამოთი.

* * *

ერთი რჩევა მათთვის, ვისაც ქუთუთოები უშუპდება

დაიფინეთ შეშუპებულ ქუთუთოებზე მაცივარში გაციებულ ოხრახუშის ნახარშში დასველებული ბამბის ტამპონები. გაიჩერეთ 15-20 წუთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შენ და მშობლები

## ტესტი თინეიჯერებისათვის

1. მიგაჩნია თუ არა, რომ მშობლებთან კარგი ურთიერთობა გაქვს?

2. მშობლებს გულახდილად ელაპარაკები? ეკითხები თუ არა მათ რჩევას პირად საკითხებში?

3. მშობლების სამუშაოთი თუ ინტერესდები ხოლმე?

4. იცნობენ თუ არა შენი მშობლები შენს მეგობრებს?

5. დადიან თუ არა შენი მეგობრები თქვენთან, ოჯახში?

6. მონაწილეობ თუ არა საოჯახო საქმეებში?

7. სახლში მოწყენილი ხარ და თავისუფალ დროს სხვაგან ატარებ?

8. შენ და შენს მშობლებს საერთო გატაცებები და საქმე თუ გაქვთ?

9. მონაწილეობ თუ არა საოჯახო დღესასწაულების მომზადებაში?

10. გირჩევნია თუ არა, რომ მშობლებმა თქვენთან ერთად მიიღონ მონაწილეობა ბავშვების ზეიმებში?

11. თუ უზიარებ მშობლებს



აზრს წაკითხული წიგნის შესახებ?

12. საუბრობ ხოლმე მშობლებთან სატელევიზიო გადაცემებსა და ფილმებზე?

13. მშობლებთან ერთად თუ დადიხარ მუზეუმებში, გამოფენებსა და კონცერტებზე?

14. დადიხარ თუ არა მშობლებთან ერთად ტურისტულ ლაშქრობებში?

15. უქმეებს მშობლებთან ერთად ატარებ?

დადებითი პასუხები 2-2 ქულით შეაფასე, პასუხები „ნაწილობრივ“ ან „ზოგჯერ“ – თითო ქულით, ხოლო თუ პასუხი უარყოფითია, 0 ჩაიწერე, ახლა კი დაითვალე.

20 ქულაზე მეტი: შეიძლება შენი ურთიერთობა უფროსებთან დადებითად ჩაითვალოს.

10-20 ქულა: ეს ურთიერთობა დამაკმაყოფილებელი, მაგრამ არამრავალმხრივია.

10 ქულაზე ნაკლები: მშობლებთან კონტაქტები არასაკმარისია, მათთან ურთიერთობის გამუჯობესება აუცილებელია.


**ბავშვთა საესტრადო სტუდია და ბავშვთა სახალხო ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ოცნება“**

**აცხადებს ბავშვებისა და მოზარდების მიღებას**

* ვოკალი (სიმღერა)
* გიტარაზე დაკვრა (ექვსსიმიანი აკუსტიკური, ელექტროგიტარა).
* სამხატვრო ხელმძღვანელი საბავშვო სიმღერების ავტორი, კომპოზიტორი გიორგი ფავლენიშვილი.
* ნიჭიერი მოსწავლეები მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკურ და საერთაშორისო ფესტივალებში, სხვადასხვა კონცერტებსა და კონკურსებში. სატელევიზიო გადაცემებში. მიიღებიან 5 წლიდან 16 წლამდე ასაკის ბიჭები და გოგონები.
* სტუდიის დამთავრების შემდეგ გაიცემა სათანადო განათლების მოწმობა.

მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ. 106 (ეზოში)
ან გია ჭეჭელაშვილის ქ №8
კულტურის ცენტრი „იმედი“
(ყოფილი ვაჭრობის კულტურის მუშაკთა სახლი)
ტ.76-88-66; 95-95-40 ან მობ. 893-24-67-25

# სკოლა სახელად „ნაკადული"



რეაწლიანი ტრადიციების მქონე კერძო სკოლა „ნაკადულმა" სარემონტო სამუშაოების გამო ახალი სასწავლო წელი 3 ოქტომბრიდან დაიწყო. სკოლის განახლებული იერ-სახე და საზეიმო გარემო ამაღლებულ განწყობას ქმნიდა. ეს დღე განსაკუთრებით დაამახსოვრდებათ პირველკლასელებს, რომლებსაც პრეზიდენტის საჩუქარი – წიგნები და ჩანთები დაურიგდათ, და ასევე კერძო სკოლებს შორის გამართულ საგნობრივ ტურში გამარჯვებულ მოსწავლეებს, რომლებსაც დიპლომები საზეიმო ვითარებაში გადაეცათ. ამრიგად, „ნაკადულის" ისტორიაში კიდევ ერთი ლამაზი ფურცელი ჩაიწერა და სკოლამ ჩვეულ რიტმში განაგრძელა ცხოვრება.

–თითოეული მოსწავლე ის პატარა ნაკადულია, რომელიც აზვირთდება, მდინარედ გადაიქცევა და ზღვას შეუერთდება. „მე ის პატარა ნაკადული ვარ" – ეს ფრაზა ლაიტმოტივად გასდევს ჩვენი სკოლის ცხოვრებას, – ასე აგვიხსნა სასწავლებლისთვის სახელად „ნაკადულის" შერჩევის განუწყვეტილება რუსთავის გაძლიერებული უცხო ენებისა და კომპიუტერის სწავლების სკოლის დამფუძნებელმა და დირექტორმა გულჩინა ჭიკაძემ.

სკოლის დაფუძნება რომ განიზრახა, ქალბატონ გულჩინას ერთი მთავარი მიზანი ამოძრავებდა – შეექმნა განათლების თანამედროვე ტექნოლოგიებზე ორიენტირებული საერო სასწავლებელი, რომლის დანიშნულება მაღალზნეობრივი და ინტელექტუალური, დამოუკიდებლად მოაზროვნე, ცოდნის



გამოყენების უნარის მქონე, მოქალაქეობრივად აქტიური ახალგაზრდების აღზრდა იქნებოდა. დღეს, დაარსებიდან რვა წლის შემდეგ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მისი დამფუძნებლისა და ხელმძღვანელის მუხლჩაუხრელი შრომის, თანამოაზრე პედაგოგების მხარში დგომის შედეგად სკოლა გასულია ძირითად პარამეტრებზე.

მშვიდ და მყუდრო გარემოში საოცარი ერთსულოვნება იგრძნობა. დირექტორი, მასწავლებლები, მოსწავლეები და მათი მშობლები გვერდიგვერდ დგანან სკოლის ინტერესების სადარაჯოზე და ნიადაგ მის წინსვლა-სრულყოფაზე ზრუნავენ.

განსხვავებულობის პრეტენზია მშვიდი ცხოვრების უფლებას არც პედაგოგებს აძლევს და არც ბავშვებს. შეიძლება ითქვას, რომ აქ ყოველ დღეს სიახლე მოაქვს, ყოველ სასწავლო წელს მოსწავლეებს სიურპრიზი ელით. პირველი კლასიდან მოსწავლეები ერთ უცხო ენას სწავლობენ, მესამე კლასში მეორე, მეშვიდეში კი მესამე ენა ემატებათ. მეშვიდე კლასიდან ისწავლება კომპიუტერიც. „ნაკადულმა" ერთ-ერთმა პირველმა ჩვენს სასწავლებლებს შორის შეიტანა სასწავლო პროგრამაში ჭადრაკი და აერობიკა. მოსწავლეები შეისწავლიან ხალხურ ფოლკლორს, ქართულ ხალხურ ცეკვებსა და სიმღერებს.

განსაკუთრებით აღსანიშნავი და მისაბაძი ფაქტია ის რომ, აქ სრული სერიოზულობით, სიღრმისეულად ასწავლიან რუსთავის ისტორიას, მჭიდრო კონტაქტები აქვთ ქალაქის მხარეთმცოდნეობის მუზეუმთან.

–თუ საკუთარი ქალაქის ისტორია არ იცი, ღირსეული მოქალაქე ვერ იქნები, ასე ფიქრობს ქ-ნი გულჩინა და ცდილობს უფრო ახლოს გააცნოს და შეაყვაროს თითეულ მოსწავლეს მშობლიური ქალაქი, მისი ძველი უბნებითა თუ ტრადიციებით.

ლაშქრობა და ექსკურსია ღრეობა და დროს ტარება რომ არ არის, „ნაკადულის" მოსწავლეები პირველი კლასიდანვე აცნობიერებენ. ნებისმიერ გასვლით ღონისძიებას შემეცნებითი ხასიათი აქვს, ამიტომაც წინასწარ ემზადებიან, თეორიულად ეცნობიან იმას, რაც საკუთარი თვალით უნდა იხილონ.

სწავლების თავი და თავი ამ სკოლაში მაინც ხარისხია. ამის ხელშემწყობი პირობა კი მცირეკონტიგენტიანი კლასებია. თითოეულ კლასში 10-15 მოსწავლე ირიცხება, რაც აადვილებს თითოეული ბავშვის ბუნების შეცნობას და უზრუნველყოფს თითოეულის გაკვეთილის ნაყოფიერებას.

არანაკლები ყურადღება ექცევა „ნაკადულში" დისციპლინას. ყოველი გაცდენილი საათი მკაცრად კონტროლდება და რეაგირებაც სათანადო მოსდევს, როგორც პედაგოგების, ისე მშობლების მხრიდან. ერთსულოვნება ყველა პრობლემის დაძლევაში ეხმარება სკოლას და ეჭვი არ არის, რომ ასე იქნება მომავალშიც.

**მანანა ჯანგირაშვილი**
**ქ. რუსთავი**


ჩემი სკოლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წარმოგიდგენთ ქ. რუსთავის კერძო სკოლა „ნაკადულის“ მოსწავლეთა შემოქმედებას

## საქართველო გადარჩება...



აღმოსავლეთ – დასავლეთი,
მთიანი და ბარიანი,
საქართველო კვლავ იქნება
მთლიანი და ერთიანი.
ჩვენ სულ მალე დავიბრუნებთ,
სამაჩაბლოს, აფხაზეთს,
დავიბრუნებთ ყველა მიწას,
რაც ოდესმე წაგვართვეს.
მტერიც ვერას დაგვაკლებს
უთვალავი, ულევი,
საქართველოს დავიცავთ
ანთებული გულებით.
ჩვენ მივბაძავთ სააკაძეს,
ცოტნესა და დემეტრეს,
მშენებლობით შევედრებით
დავით აღმაშენებელს.
ავაშენებთ ეკლესიებს
ტაძრებსა და მონასტრებს,
ყველას, ყველას მოვუწოდებთ:
საქართველო გიყვარდეთ!

**უჩა ვარამაშვილი,**
X კლასი.

## შემოდგომა

ხვავითა და ბარაქით,
შემოდგომა მოვიდა,
გაიხარა გლეხკაცმა,
მოსავალი მოზიდა,
საქმე შინაც ბევრია,
ჭურია თუ ქვევრია –
ყველა დასარეცხია,
ყველა დასახეხია...
ხორბალია, პურია,
ტკბილიც დასაწურია,
შენია თუ ჩემია,
სიმინდი სარჩევია.
ხუმრობა ნუ გგონია,
ჩალა ასაკონია,
იოლია – ძნელია,
ზვინიც დასადგმელია,
ისეა თუ ასეა,
გლეხის გულიც სავსეა!



**ქეთინო ტაბატაძე,** X კლასი

## წამალი



თოვლიანი დილა გათენდა. ბავშვები ქუჩაში მხიარულად გუნდაობდნენ. მთელი ქუჩა მათ ჟივილ-ხივილს მოეცვა. ასე ეგონათ, ყველა ამ საერთო დღესასწაულის მონაწილე იყო და გასაჭირი აღარავის ახსოვდა. სკოლიდან მომავალი გოგო-ბიჭებიც გამოჩნდნენ, ისინიც მხიარულ განწყობაზე იყვნენ.

ერთ-ერთმა გოგონამ იქვე მდგარი სახლის ფანჯარაში თვალი მოჰკრა მოხუცს, რომელსაც ცრემლები ღაპაღუპით სდიოდა, გოგონას არაფერი უთქვამს, ისე გამოეყო თანაკლასელებს. ისევ იმ ფანჯრისკენ იყურებოდა შეწუხებული და ვერ გაეგო ქალის სევდის მიზეზი. თითქოს თოვლიც შეწყდა, მხიარულებაც გაქრა... უნდოდა, მისულიყო და ეკითხა რა სჭირდა, მაგრამ ნაბიჯს ვერ დგამდა, იდგა თოვლში გახევებული. მერე უცებ ადგილიდან მოწყდა და სადარბაზოში შევარდა, კარი შეაღო და... ინვალიდის ეტლში მჯდომი ქალი დაინახა. მივიდა და მოეხვია. ასე გაირინდნენ მცირე ხანს. გოგონას თვითონაც ვერ გაეგო, რატომ მოიქცა ასე, ის ქალი ხომ სრულიად უცხო იყო. თუმცა, ამას მისთვის უკვე აღარ ჰქონდა მნიშვნელობა. – წამალი! – მოულოდნელად შესძახა ქალმა. გოგონამ აქეთ-იქით მიმოიხედა, თვალებით წამალს ეძებდა და ვერ ნახა. ქალმა კი სათქმელი დაასრულა:... რამდენი ხანია ამ წამალს ვთხოვდი ღმერთს, ვევედრებოდი ეს წამალი გამოეგზავნა ჩემთვის, ვიდრე სულ დავლევდი და აი... მან შენი თავი გამომიგზავნა. შენ ხარ ის წამალი, რომელსაც ველოდი, გმადლობ, ღმერთო! ახლა შემიძლია მშვიდად დავხუჭო თვალი... – თქვა და სული განუტევა.

თურმე ქალი მარტო ცხოვრობდა და სულ იმას ნატრობდა, ვინმე ჰყოლოდა გვერდით. მისთვის მთავარი აფთიაქის წამალი კი არა, გვერდით დგომა, ადამიანური სითბო და ყურადღება იყო.

გოგონას თავის უსუსურობა ყელში ჰქონდა გაჩრილი და ცრემლიანი თვალით უმზერდა თოვლში მოგუნდავე მხიარულ ბავშვებს. ფიფქები ისევ ცვიოდა ციდან, ვინ წარმოიდგენდა, რა ხდებოდა იმ ფანჯრის მიღმა...

**თინიკო ვარამაშვილი,** VIII კლასი.


ჩემი სკოლა

# ვინ? რა? როგორ? რატომ? სად? როდის? რამდენი?



### რატომ ტრიალებს მზესუმზირა მზის მოძრაობის შესაბამისად?

მართლაცდა უცნაურია, მცენარეებს ხომ კუნთები არა აქვთ! საქმე ის არის, რომ ღეროს ის მონაკვეთი, რომელიც დასავლეთისკენ ილტვის, ღამე უფრო სწრაფად იზრდება. ყვავილი მილიმეტრ-მილიმეტრობით ამოძრავებს „თავს“ და დილით მზეს აღმოსავლეთით ეგებება. დღე კი პირიქით ხდება – ღეროს აღმოსავლეთი ნაწილი უფრო სწრაფად იზრდება და ყვავილი თანდათანობით დასავლეთისკენ ტრიალდება. ასეთი ფანდის წყალობით მზესუმზირა 15 პროცენტით მეტი მზის ენერგიის მიღებას ახერხებს. მაგრამ ასეთი ილეთის ჩატარება მარტო ახალგაზრდა მცენარეს შეუძლია. უკვე გაზრდილი მზესუმზირა ყოველთვის დასავლეთისკენ იმზირება.

### რატომ გვდის ცრემლები, როდესაც ხახვს ვჭრით?

ამაში ის განსაკუთრებული მქროლავი ნივთიერებებია დამნაშავე, რომლებსაც ხახვი შეიცავს. თავისთავად ისინი მწველი არ არის, მაგრამ როგორც კი სითხეში მოხვდება, გოგირდმჟავას გამოჰყოფს. ჩვენ თვალები ყოველთვის ოდნავ წყლიანი გვაქვს. ამიტომაც როგორც კი გაჭრილი ხახვიდან გამოფრენილი მსუბუქი მოლეკულები თვალებამდე მოაღწევს, მაშინვე მწველი მჟავა წარმოიქმნება. სწორედ ის იწვევს ცრემლებს. ხახვის დაჭრისას რომ არ „ვიტიროთ“, დანა წყლით უნდა დავასველოთ, მაშინ მჟავა თვითონ ხახვში წარმოიქმნება და არა ჩვენს თვალებში.

### უყურებენ თუ არა ძაღლები ტელევიზორს?

ზოგჯერ უყურებენ, დანახვით კი მხოლოდ უამრავ მოციმციმე წერტილს ხედავენ. ტელეეკრანზე კადრები წამში 60-ჯერ ანუ 60 ჰერცის სიხშირით იცვლება. ეს საკმარისია იმისათვის, რათა ადამიანის თვალმა ციმციმი მკაფიო მოძრავ სურათად აქციოს. ძაღლის თვალებისთვის კი მაინც მონაცვლეობის ამგვარი სიხშირე ძალზე ნელია. ძაღლს მხოლოდ მაშინ შეუძლია ეკრანზე საგნების გარჩევა, როდესაც გამოსახულებები წამში 80-ჯერ უფრო სწრაფად იცვლება. ისე კი, შეიძლება ითქვას, რომ ძაღლებს ბედმა გაუღიმა: ახალი თაობის ბევრ ტელევიზორს 100 ჰერცის სიჩქარე აქვს, თანაც ძაღლებისთვის სპეციალური ვიდეოფილმებია შექმნილი.



### სვამენ თუ არა თევზები წყალს?

ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ წყალში ბინადრობენ ისინი. მტკნარი წყლის თევზები თითქმის არ სვამენ, ვინაიდან მარილების კონცენტრაცია მათ სხეულში უფრო მაღალია, ვიდრე გარშემო წყალში. თუ თევზის ორგანიზმში დიდი რაოდენობით მოხვდება წყალი, ის შეიძლება გაიბეროს და დაიღუპოს. ზღვის თევზის სხეულში, პირიქით, მარილები უფრო ნაკლებია, ვიდრე გარშემო წყალში და ამიტომ ჩნდება გაუწყლოვანების საფრთხე. ეს რომ არ მოხდეს, ზღვის თევზები იძულებულები არიან ბევრი სვან. მაგრამ მათ ორგანიზმში წყალი თითქმის მტკნარი სახით შედის, იმიტომ რომ ზედმეტი მარილი წვეთების სახით გამოდის ლაყუჩებიდან.

### რატომ უყვარს თითქმის ყველა ბავშვს ტკბილეული?

ალბათ დაკვირვებიხართ: როგორც კი რაიმე ტკბილს შეჭამთ, გუნება-განწყობილება გიუმჯობესდებათ. რატომ ხდება ასე? საქმე ის არის, რომ შოკოლადის თუ კანფეტის შემადგენლობაში შემავალი შაქარი ხელს უწყობს ტვინში განსაკუთრებული ნივთიერების – სეროტონინის გამომუშავებას. როდესაც მისი რაოდენობა იზრდება, ჩვენ ავტომატურად განვიცდით სიხარულს. ტყუილად როდი უწოდებენ სეროტონინს მეორენაირად „ბედნიერების ჰორმონს“. მაგრამ ზომიერება აქაც აუცილებელია. კარგი განწყობილებისა და ტვინის შესანიშნავად მუშაობისთვის სულ ცოტა ტკბილი, ყველაზე მეტი დღეში 10 ჩაის კოვზი შაქარია საჭირო. შედარებისთვის: ჩვეულებრივ შოკოლადში 5 ჩაის კოვზი შაქარია, პეპსის ქილაში კი – 10.



# ვინ როგორ იცავს თავს





მტაცებლების დანახვაზე ჯავშნოსანი ცდილობს გაიქცეს. თუ გაქცევას ვერ ახერხებს, ჩერდება.



და ბურთივით დაგორგვლას იწყებს.

ცხოველი ჯერ თავსა და ფეხებს მალავს ჯავშანში.



მას შემდეგ, რაც ჯავშნიანმა თავი კუდთან მიიტანა, იგი მთლიანად შეიმალა ჯავშანში.



ასე დაგრაგნილს მას არანაირი საფრთხე არ ემუქრება. ამ შეჯავშნულ „ბურთს“ მტაცებელი კბილსაც კი ვერ მიუყენებს.





* * *

მტაცებლების დანახვაზე ლაბადოსანი ხვლიკიც ჯავშნოსანივით იქცევა – გაქცევას ლამობს, ხეზე ძვრება, ან უკანა ფეხებზე შემდგარი უკან მოუხედავად გარბის. მაგრამ თუ გაქცევის საშუალება არ ეძლევა, ეშმაკი ხვლიკი ხრიკს მიმართავს – რაც შეიძლება დიდ პირს აღებს, კისრის გარშემო არსებულ კანის ნაკეცს ქოლგასავით გაშლის, სისინს იწყებს, უკანა ფეხებზე ჯდება და გრძელ კუდს მიწას ურტყამს. ასე იგი იმაზე დიდი ჩანს, ვიდრე სინამდვილეშია და ყველანაირ მომხდურს აფრთხობს.

* * *

ერთი წლის პატარა ბეჰემოთი ოუენი შარშანდელი ცუნამის შედეგად დაობლდა. კენიის ქალაქ მომბასის ბუნებრივი პარკის თანამშრომლებმა ის ქვიშაში და წყალმცენარეებში ჩაფლული იპოვეს სანაპიროზე. ოუენი 120 წლის კუ მზის მიეკედლა, ყველგან ფეხდაფეხ დასდევდა, გვერდიდან არ სცილდებოდა და მზიმაც



ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღო – დაუმეგობრდა მას. ისინი ყველაფერს ერთად აკეთებენ და გვერდიგვერდ სძინავთ. მეგობრების საყვარელი თამაში კი იმაში მდგომარეობს, რომ მზი ოუენს თავს პირში უყოფს. არავინ იცის, რა სახეს მიიღებს ეს მეგობრობა, როცა ბეჰემოთი წამოიზრდება, ჯერჯერობით კი მეგობრობისა და სიყვარულის ნიშნად ოუენი მზის ხშირ-ხშირად ულოკავს სახეს.

# ფასანაურის სამუსიკო სკოლა



ფასანაურის სამუსიკო სკოლა ის პატარა ოაზისია, რომელიც მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებულ მრავალ ბავშვს უკლავს ხელოვნებასთან ზიარების წყურვილს. თხუთმეტი წელია სკოლას რომან მელიწკაური ხელმძღვანელობს და სანაქებოდაც უძღვება საქმეს. ბატონ რომანს სახელმწიფო კონსერვატორიის ვოკალური განყოფილება აქვს დამთავრებული, კონსერვატორიასთან არსებულ სტუდიაში შესრულებული აქვს წამყვანი პარტიები „ევგენი ონეგინში“, „ტრავიატაში“, „ფიგაროს ქორწინებაში“, „დაისში“, წლების მანძილზე საქართველოს სახელმწიფო კაპელის წამყვანი სოლისტი იყო. მუსიკალურია მთელი მისი ოჯახიც – მეუღლე წლების მანძილზე კონსერვატორიის კონცერტმეისტერი იყო, კონსერვატორია დაამთავრა მათმა ორივე შვილმაც, უმაღლესი მუსიკალური განათლება მიიღო უფროსმა შვილიშვილმაც, უმცროსი კი ჯერჯერობით სამუსიკო სკოლის მეოთხე კლასში სწავლობს. ბატონი რომანი კარგახანს მუშაობდა ჯერ ქარელის, მერე კი ასპინძის სამუსიკო სკოლის დირექტორად, მერე კი გულმა წინაპრების მშობლიური კუთხისკენ გამოუწია და ფასანაურის სამუსიკო სკოლას ჩაუდგა სათავეში. გასაკეთებელი ბევრი დახვდა, თუმცა სკოლას სიძნელეები არც ახლა აკლია, პირველი და უმთავრესი კი მათგან საკრავების ნაკლებობაა. ყველაფრის მიუხედავად, თანამოაზრე პედაგოგების გუნდის თანადგომისა და ერთსულოვნების წყალობით ბატონმა რომანმა ჭეშმარიტად შემოქმედებითი ატმოსფერო შექმნა სკოლაში. აქ 100-ზე მეტი მოსწავლე და 12 პედაგოგია, სხვათა შორის, მასწავლებელთა დიდ ნაწილსაც ეს სკოლა აქვს დამთავრებული. ნინო ოთინაშვილი, ნინო წიკლაური, ანა ქავთარაძე, ირინე მელიქიშვილი, ია მელიწკაური, მარინე მეტრეველი, თამაზ მელიწკაური გარდა იმისა, რომ ამა თუ იმ საკრავზე დაკვრას ასწავლიან ბავშვებს, ზოგად მუსიკალურ განათლებასაც აძლევენ, გემოვნებასაც უხვეწავენ და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ჭეშმარიტ მსმენელებადაც ამზადებენ.

ძირითადი პროფილი სკოლაში ფორტეპიანოა, ამ განხრით სასწავლო პროცესს გამოცდილი პედაგოგი, თავისი საქმის საუკეთესო პროფესიონალი ქალბატონი რენა მელიწკაური ხელმძღვანელობს. წლევანდელი სასწავლო წლიდან გაიხსნა სალამურისა და ფანდურის განყოფილება და უნდა ითქვას, რომ საქართველოს მთიანეთში გავრცელებულ ამ საკრავებზე დაკვრის შესწავლის მსურველთა რაოდენობამ მოსალოდნელს გადააჭარბა.



სკოლის კედლებზე წლების მიხედვით წარმოდგენილი აფიშები და სტენდები მეტყველად გვიამბობენ იმ ღონისძიებებზე – კონცერტებზე, შეხვედრებზე, კონკურსებზე, ექსკურსიებზე,

–რომლებშიც ფასანაურის სამუსიკო სკოლის მოსწავლეებს მიუღიათ მონაწილეობა. დიდი წარმატება ხვდათ მათ წილად ვაჟა-ფშაველას 140 წლისთავისადმი მიძღვნილ კონცერტზე. შარშან სკოლას 30 წელი შეუსრულდა და ამ თარიღთან დაკავშირებით ჩამოსულ სტუმრებს – კონსერვატორიის პროფესორმასწავლებლებს, რაიონის ხელმძღვანელებს – საქებარი სიტყვები არ ჰყოფნიდათ საიუბილეო კონცერტის მონაწილე ბავშვების და მათი პედაგოგების შესამკობად. ამ ზაფხულს სკოლაში შეხვედრა მოუწყვეს კომპოზიტორ მერაბ მერაბიშვილს. შეხვედრაზე მოსწავლეებმა კომპოზიტორის არა ერთი ნაწარმოები შეასრულეს და თავისი ხელოვნებით დიდი სიამოვნება მიანიჭეს მას. დიდი მოწონება დაიმსახურა სკოლის ძალებით დადგმულმა მიუზიკლმა „რწყილი და ჭიანჭველა“ (დამდგმელი პედაგოგი ნინო ოთინაშვილი). მიუზიკლის პრემიერაზე მოწვეულმა კომპოზიტორებმა, კონსერვატორიის პედაგოგებმა, სპეციალისტებმა, საპატიო სტუმრებმა და მშობლებმა მაღალი შეფასება მისცეს შემოქმედებითი კოლექტივის ნალვაწს. ასევე წარმატებული იყო ბავშვების მონაწილეობით განხორციელებული „ბულბულის იუბილე“, „ახალი წელი“, „ნაცარას დღეობა“ და სხვა.

სკოლის მოსწავლე-მასწავლებლების ძალებით ხშირად ეწყობა გასვლითი კონცერტები სოფლებში. სკოლაში ძალიან კარგი ბიბლიოთეკა აქვთ, (გამგე მზია ქავთარაძე), რომლის ფონდში ნოტებისა და სპეციალური ლიტერატურის გარდა, საბავშვო წიგნებიც მრავლად არის. სკოლას ფასანაურის მიმდებარე სამ სოფელში – ქვეშეთში, ჭართალსა და ანანურში აქვს ფილიალები, რომლებიც სათავო სკოლის რიტმითა და პროგრამით ცხოვრობენ და საქმიანობენ. ფასანაურის სამუსიკო სკოლის ხელმძღვანელი და პედაგოგიური კოლექტივი ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რათა იმ არასახარბიელო პირობებშიც კი, რომელშიც უწევთ მუშაობა, მაქსიმალურად შეუწყონ ხელი ბავშვებს მუსიკალური განათლების მიღებაში, ჰარმონიულ ადამიანებად ჩამოყალიბებაში.

# მეგობრები

## ლევანი და ბახვა „ყოჩებიდან“

ბახვა კობახიძე და ლევან ნაზღაიძე ძმაკაცები არიან. ბიჭებს მანამდეც ბევრი საერთო ინტერესი და გატაცება ჰქონდათ, ვიდრე რაგბის თამაშს დაიწყებდნენ. მაგალითად:

ორივენი კომპიუტერის ფანები არიან და როგორც თვითონ ამბობენ, სულ შიგ არიან შემძვრალები;

ორივე გაძლიერებული პროგრამით ეუფლება ინგლისურს;

ორივეს ძალიან უყვარს ცხოველები, განსაკუთრებით, მგელი და ძაღლი, შეიძინეს სპეციალური ენციკლოპედიები და ვიდეოკასეტები ამ ცხოველებზე;

ორივეს უყვარს კროსვორდების ამოხსნა და მძაფრსიუჟეტიანი ფილმების ყურება;

ორივეს მშობლებთან და ეკლესიის მრევლთან ერთად მთელ საქართველოში არა ერთი ტაძარი თუ ისტორიული ძეგლი აქვს მონახულებული;

ორივეს ჯერ არ აურჩევია მომავალი პროფესია;

რაგბიში რომ დაიწყეს ერთად ვარჯიში, კიდევ უფრო მეტად დაახლოვდნენ და დამეგობრდნენ. ლევანს



დედამ შესთავაზა სპორტის ამ სახეობაზე ევლო, მაგრამ თვითონ ადრე კალათბურთში ვარჯიშობდა, „მაქაბის“ გუნდში თამაშობდა და არ უნდოდა კალათბურთს საბოლოოდ დამშვიდობებოდა, თუმცა როცა გაიგო, რომ ბახვაც აპირებდა რაგბიზე სიარულს, აღარ უყოყმანია.

ბახვას მამა ჰყავს რაგბისტი და გარდა იმისა, რომ თვითონაც ყოველთვის მოსწონდა სპორტის ეს სახეობა, უთუოდ მამის მაგალითმაც ითამაშა გარკვეული როლი და მან ფეხბურთი უმტკივნეულოდ დათმო (ბახვა „სპარტაკში“ თამაშობდა). დღეს მეგობრები მწვრთნელის სპირიდონ ლიპარტელიანის ხელმძღვანელობით ეუფლებიან სპორტის ამ ვაჟკაცურ სახეობას. (ს. ლიპარტელიანი საქართველოს ჩემპიონია, თამაშობდა ქვეყნის ნაკრებში).

ბახვა და ლევანი გუნდ „ყოჩების“ წევრები არიან და უკვე რამდენიმე შეჯიბრებაში მიიღეს მონაწილეობა. დიდი სიხარულითა და ხალისით დადიან ვარჯიშზე და თუმცა დიდი დატვირთვა აქვთ, დაღლას არაფრად აგდებენ და დღითიდღე ხვეწენ ოსტატობას, მაღალი მწვერვალების დასაპყრობად ემზადებიან.

ორივეს მშობლები, რომლებიც თავიდან ყოყმანობდნენ, გაეშვათ თუ არა შვილები რაგბიზე, დღეს ძალიან კმაყოფილები არიან – ყველა სხვა სიკეთესთან ერთად ბიჭებმა სწავლასაც მოუმატეს.

ახლა კი იმის შესახებ, რაც მეგობრებს საერთო არა აქვთ – ბახვას ფავორიტი რაგბიში კონა ლომუაა, საყვარელი გუნდი – ახალი ზელანდიის ნაკრები, ლევანი კი ჯონ ფინკინსონისა და ინგლისის ნაკრების თაყვანისმცემელია და კიდევ – ბახვა თბილისის 165-ე საშუალო სკოლაში სწავლობს, ლევანი კი 162-ში.

# ერთი თქვენგანი

## ერეკლე ლეჟავა

ერეკლე ლეჟავა ერთი ჩვეულებრივი ბავშვია, იგი რუსთავის №2 საშუალო სკოლის Vბ კლასში სწავლობს. სხვა თავისი თანატოლების მსგავსად უყვარს ნახატი ფილმები, თამაშობს, ერთობა, მათგან კი ის განასხვავებს, რომ არ ტოვებს



არც ერთ მნიშვნელოვან ინფორმაციას და პოლიტიკაზე თუ სოციალურ ყოფაზე დიდი ადამიანივით საუბრობს.

მართალია, ერეკლეს უკვე ორი წელია მამა აღარ ჰყავს, მაგრამ მამის სითბო და სიყვარული მუდამ თან სდევს. მამამ ასწავლა მანქანების გარჩევა მარკების მიხედვით, ახლა უკვე მანქანებს ძრავის ხმაურით არჩევს.

ერეკლე მართლმადიდებელი ქრისტიანია და დედასთან ერთად ხშირად დადის ეკლესიაში. მას უკვე მოძღვარიც ჰყავს. – რაც ეკლესიაში დავდივარ, უფრო სხვანაირი გავხდი, უფრო კეთილი და უფრო მშვიდი. მინდა ბევრი კარგი, კეთილი საქმე ვაკეთო, – გვითხრა ერეკლემ.

სკოლაში ყველა საგანს ერთნაირი გატაცებით სწავლობს, მაგრამ როგორც თვითონ ამბობს, მათემატიკაზე გიჟდება, მომავალში კი შეიძლება ექიმი გახდეს.

გარდა ამისა, ერეკლეს ფეხბურთიც უყვარს, თუმცა მძიმე წონის გამო თვითონ ვერ თამაშობს, მაგრამ სპორტის ამ სახეობის დიდი გულშემატკივარია. ფეხბურთზე საუბარს თავისი საყვარელი ინგლისელი ფეხბურთელით: – ფრენკ ლამპარტით იწყებს. ჩვენი მოთამაშეებიდან კი მეტ-ნაკლებად შოთა არველაძე მოსწონს. ერეკლე კალამსაც ცდის – საინტერესო თემებს, ჩანახატებსა და ლექსებს წერს, რაც მისი დაწყებითი კლასების პედაგოგის მედეა ნოზაძის დამსახურებაცაა.

–იქნებ მისი ნაადრევი დასერიოზულება ჩემი ბრალია, მე და ჩემი დედამთილი ოჯახურ გადაწყვეტილებებს მის გარეშე არ ვიღებთ, ის ხომ ოჯახში ერთადერთი მამაკაცია. ალბათ ეს განაპირობებს მის ხასიათს. – ასე ხსნის შვილის ასაკისთვის შეუფერებელ სერიოზულობას ერეკლეს დედა, ქალბატონი მარინა კახაძე.

შესაძლოა ასეც იყოს, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. ერეკლეს უკვე აქვს საკუთარი შეხედულებები პოლიტიკაზე (რუსეთის ბაზები, აფხაზეთი, სამაჩაბლო), განსაკუთრებით კი დღევანდელი სოციალური ყოფა აწუხებს. როგორი პიროვნება დადგება ერეკლე ლეჟავა და რა გზას აირჩევს ცხოვრებაში, ამას მომავალი გვიჩვენებს.

## ნანა შალიძე

ნანა ხობის №2 საშუალო სკოლის მერვეკლასელია და თუმცა სკოლის დამთავრებამდე კიდევ რამდენიმე წელი უნდა ისწავლოს, მომავალი პროფესია უკვე არჩეული აქვს – იურისტობა. ნიჭიერი და ბეჯითი გოგონა ყველა საგანში ძლიერია და ამიტომაც არის, რომ ზონალურ ტურებსა თუ კონკურსებში ქართული ენისა და ლიტერატურის განხრითაც მონაწილეობს, ბიოლოგიისაც, გეოგრაფიისაც, მათემატიკისაც და ისტორიისაც და რაც მთავარია, ყველა დისციპლინაში მაღალ შეფასებას იმსახურებს. სიყვარულით კი მაინც ყველაზე მეტად ისტორია და ქართული ენა და ლიტერატურა უყვარს. პოეზიით გატაცებული ნანა თვითონაც წერს ლექსებს, რომელთა ნაწილი შესულია კრებულში „ცოტნეს მემკვიდრენი“.



სულ პატარა იყო ნანა, მისივე სურვილით ქართული ცეკვების შესასწავლად რომ მიიყვანეს, დღეს კი იგი ერთ-ერთი საუკეთესოა ანსამბლ „კოლხეთში“. მას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ანსამბლის ყველა წარმატებაში, ასე იყო, როდესაც ბავშვთა თვითშემოქმედების დათვალიერება-კონკურსზე „კოლხეთმა“, „ოქროს გლობუსი“, ნანა შალიძემ კი სიგელი დაიმსახურა. როდესაც ზუგდიდში გამართულ ქართული ცეკვების კონკურსში ანსამბლმა II, ფოთში კი III ადგილი მოიპოვა.

ნანა ბევრს და გულდადებით მეცადინეობს, რადგან იცის, რომ სწორედ სკოლაში შეძენილი ცოდნის მარაგი უნდა გახდეს მისი მომავალი წარმატებების საფუძველი. თავისუფალ დროს კი თავს კროსვორდების შედგენა-შევსებით იქცევს, განსაკუთრებით გეოგრაფიული კროსვორდები უყვარს.

თანატოლებთან ურთიერთობის დამყარება არ უჭირს, ბიჭებთანაც მეგობრობს და გოგონებთანაც. ბუნებით ოპტიმისტსა და მიზანსწრაფულს სჯერა, რომ თუ ადამიანი მოინდომებს, აუცილებლად მიაღწევს მიზანს და ამიტომაც ეჭვი არ ეპარება, რომ პირადად მას წინ მრავალმხრივ საინტერესო ცხოვრება ელის.

## რეი ბრედბერი

**მოთხრობა**

# ჟანგი

–დაბრძანდით, – უთხრა პოლკოვნიკმა ახალგაზრდა კაცს.

–გმადლობთ, – თქვა ახალგაზრდამ და დაჯდა.

–ჩემამდე ხმა მოვიდა, რომ თქვენ... – დაიწყო პოლკოვნიკმა, – ჰო, მე თქვენზე რაღაც-რაღაცები ვიცი. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ბევრი – არაფერი! ამბობენ, რომ ამ ბოლო დროს მოუსვენარი გახდით, რაღაცაზე თავს იმტვრევთ, საქმე კი არ გამოგდით. ეს მე კარგა ხანია ვიცი. მინდა, პირადად მოგელაპარაკოთ. იქნებ, სამსახურის გამოცვლა გინდათ, ა? ან იქნებ, რომელიმე შორეულ სამხედრო ოლქში გსურთ გადასვლა. არ მოგწყინდათ ეგ კანცელარია?! ვინ იცის, ეგებ ფრონტზეც გინდათ წასვლა!...

–არა მგონია, რომ ფრონტზე წასვლა მინდოდეს, – თქვა ახალგაზრდა სერჟანტმა.

–აბა, რა გინდათ?!

სერჟანტმა მხრები აიჩეჩა და ხელებზე დაიხედა.

–მე მინდა, მშვიდობა იყოს ქვეყანაზე! მინდა, მივაგნო რაიმე საშუალებას, რომ ერთ ღამეში ყველა ქვემეხი ჟანგმა შეჭამოს, ყველა ყუმბარაში მოთავსებული ბაქტერიები უვნებელი გახდეს, ყველა ტანკი პრეისტორიულ, გაქვავებულ ურჩხულს დაემსგავსოს... დიახ, ერთ ღამეს უნდა მოხდეს ყველაფერი ეს... აი, რა მინდა მე!

–ეს ყველა ჩვენგანის სურვილია, – თქვა პოლკოვნიკმა, – მაგრამ ახლა თავი დაანებეთ იდეალისტობას და თქვით – სად გაგაგზავნოთ. აირჩიეთ, – გინდათ დასავლეთი, გინდათ – ჩრდილო ოლქი (პოლკოვნიკმა მაგიდაზე გაშლილ რუკაზე თითი დაადო ჯერ ერთ, მერე – მეორე წერტილს).

სერჟანტი ხელების ქნევით განაგრძობდა ლაპარაკს:

–ვთქვათ, ერთ მშვენიერ დილას გავიღვიძეთ და... რას ვხედავთ: ქვემეხები აღარაა საჭირო, – მაშინ რას იზამთ თქვენ – უფროსები, რას ვიზამთ ჩვენ – ჯარისკაცები, რას იზამს მთელი ქვეყანა!..

პოლკოვნიკი უკვე მიხვდა, რომ სერჟანტთან ცოტა სხვანაირად უნდა ელაპარაკა, გაიღიმა და თქვა:

–ეს ძალიან საინტერესო საკითხია. მიყვარს ასეთი თეორიები. მაგრამ მე მგონია, ეს რომ მოხდეს, ნამდვილი პანიკა ატყდება, ყველა იფიქრებს, რომ მხოლოდ მას არა აქვს იარაღი, ცალცალკე ყველა სახელმწიფო დაიჯერებს, რომ ეს მისი მტრების მოწყობილი საქმეა!

–მერე? – იკითხა სერჟანტმა, – როცა ყველა დარწმუნდება, რომ იარაღი არავის არა აქვს, არავინ არავის არ ემუქრება, ყველა ადამიანი თანასწორია და შეუძლიათ ახლებურად დაიწყონ ცხოვრება, – მაშინ? მაშინ რას იზამს ხალხი?!

–ყველა ხელახლა დაიწყებს შეიარაღებას.

–თუ ამის ნებას არ მივცემთ?

–მაშინ ადამიანები კრივის ხელთათმანებს იშოვნიან, სახელმწიფო საზღვარზე ერთმანეთს შეეჯახებიან და გაჩაღდება მუშტიკრივი. ჯერ ერთი – ვინ წაართმევს, და რომც წაართვან ეს ხელთათმანები – ფრჩხილებსა და კბილებს მოიშველიებენ. ესეც რომ აუკრძალო, – ფურთხებას დაუწყებენ ერთმანეთს. ენას ამოგლეჯ? პირს აუკრავ? მაინც მოიგონებენ რაღაცას.

–თქვენ ფიქრობთ, რომ ჩემი იდეა ჰაერშია გამოკიდებული, არა?

–თქვენი იდეის განხორციელება იმას ემგვანება, – კუს რომ ჯავშანი შემოაცალო. ეს იქნებოდა ცივილიზაციისთვის მიყენებული მომაკვდინებელი დარტყმა.

–იქნებ, თქვენ არც კი გაწუხებთ ხალხზე, მშვიდობაზე ფიქრი, რადგან წყნარი სამუშაო გაქვთ და სამსახურში ძალზე მშვიდად გრძნობთ თავს.

–თუნდაც ასე იყოს... ამას მნიშვნელობა არა აქვს, საერთოდ, თავიდან ამოიგდეთ ეგ თქვენი „ჟანგი".

უცებ სერჟანტმა თავი ასწია.

–თქვენ საიდან იცით, რომ მე ის მაქვს?!

–რა ის?!

–აიი... ეე... ჟანგი!

–არ მესმის, რაზე ლაპარაკობთ?

–იცით თუ არა თქვენ, რომ მე ძალმიძს ეს მართლა გავაკეთო, დღესვე შემიძლია დავიწყო...

პოლკოვნიკმა გადაიხარხარა:

–ხუმრობთ?

–არა, არ ვხუმრობ, სრულიადაც არ ვხუმრობ. მე დიდი ხანია მინდა თქვენთან საუბარი. კარგი ჰქენით, რომ გამომიძახეთ. ამ აღმოჩენას მე წლები შევწირე, უდიდესი ძალ-ღონე შევალიე. განსაკუთრებით, საიარაღე ფოლადის ატომთა საიდუმლოება მაინტერესებდა. მე ვეძიებდი ფაქტორს, რომელიც ამ ატომთა შორის არსებულ წონასწორობას დაარღვევდა. ჩემი ყურადღება მიიპყრო იმან, რომ ჰაერში მუდამ არსებობს ნივთიერება, რომელიც ჟანგვას იწვევს. ეს ნივთიერებაა წყლის ორთქლი. უნდა მიმეგნო რაიმე ხერხისთვის, რომლის მეშვეობითაც ფოლადი მიიღებდა „ნერვულ შოკს", აი, მაშინ წყლის ორთქლი ნამდვილად იზამდა თავის საქმეს! მაგრამ ეს არ უნდა გავრცელებულიყო ყველა სახის ლითონზე. თანამედროვე ცივილიზაცია ფოლადზეა დამყარებული. მე ხომ ყველაფრის დანგრევა არ მქონდა მიზნად!.. მწყობრიდან უნდა გამომეყვანა ქვემეხები, თოფები, ტანკები, საბრძოლო თვითმფრინავები, სამხედრო ხომალდები...

საჭიროების შემთხვევაში ჩემს ხელსაწყოს უნდა ემოქმედნა სხვადასხვა სახის სპილენძზე, ბრინჯაოზე, ალუმინზე... უბრალოდ, ჩემი გამოგონილი ხელსაწყოთი, გვერდით ჩავუვლიდი ყოველგვარ იარაღს და ის მაშინვე მტვერად იქცეოდა.

პოლკოვნიკმა გაოცებული თვალებით შეათვალიერა სერჟანტი, მერე ჯიბიდან ამოიღო ავტოკალამი, რომელსაც ვაზნის თავსახური ჰქონდა, წინ ბლანკი დაიდო და წერას შეუდგა.

–გირჩევთ, დღესვე ნახვიდეთ ექიმ მეტიუსთან. მე არ მინდა ვთქვა, რომ თქვენ მძიმე ავადმყოფი ხართ, მაგრამ

ექიმთან მისვლა, ვფიქრობ, არ გაწყენთ...

–თქვენ გგონიათ, რომ ტყუილს ვამბობ? სცდებით. მე უკვე მაქვს ასეთი ხელსაწყო, ის ძალზე მცირეა – ასანთის კოლოფშიც კი ჩაეტევა. მისი მოქმედების არე ცხრაასი ვერსია: მე შემიძლია ერთ დღეს მთელი ამერიკა შემოვიარო (სხვა სახელმწიფოები ვერაფერს დაგვაკლებენ, – როგორც კი მოგვიახლოვდებიან – ნაცარტუტად ვუქცევ ყოველგვარ იარაღს), შემდეგ ევროპას მოვივლი, ერთ თვეში მთელ მსოფლიოს განვკურნავ ომის საშინელებებისაგან. ვერ გეტყვით, როგორ გავაკეთე მე ეს ხალსაწყო. პირდაპირ დაუჯერებელია! ეს ისევე საარაკოა, როგორც ატომური ბომბი. აგერ ერთი თვეა ვფიქრობ – შემოვაცალო თუ არა ჯავშანი კუს... – როგორც თქვენ თქვით წეღან... აქამდე ვყოყმანობდი, მაგრამ ახლა გადავწყვიტე – ვიმოქმედო! თქვენთან საუბარში ზოგიერთი თქვენი მოსაზრება დავაზუსტე და ბევრი რამ სავსებით ცხადი და ნათელი გახდა. ზოგ ვინმეს ჯერ კიდევ ეპარება ეჭვი საყოველთაო და მუდმივი მშვიდობიანობის შესაძლებლობაში, მაგრამ მე თქვენ გარწმუნებთ: – მშვიდობა იქნება!

–ეს ბლანკი მიეცით ექიმ მეტიუზს, – მკვეთრად და მშვიდად წარმოსთქვა პოლკოვნიკმა.

სერჟანტი წამოდგა.

–როგორ!... სხვა სამხედრო ოლქში აღარ გადაგყავართ?

–არა... ჯერჯერობით – არა, გადავიფიქრე. ეს ექიმმა მეტიუზმა უნდა გადაწყვიტოს.

–თუ ასეა, რამდენიმე წუთის შემდეგ ბანაკიდან მივდივარ, შვებულება მაქვს. უღრმეს მადლობას მოგახსენებთ იმისათვის, რომ ამდენი ძვირფასი დრო დამითმეთ!...

–ყური მიგდე, სერჟანტო! ყველაფერი გულთან ნუ მიგაქვს და ნურსადაც ნუ წახვალ. ავად ვინ არ გამხდარა, შენ ამისათვის არავინ არ დაგძრახავს.

–არც არავინ არაფერს დამიჯერებს!... მშვიდობით.

სერჟანტი სწრაფად გავიდა კანცელარიიდან.

პოლკოვნიკი მარტო დარჩა. იდგა და დაბნეულად იყურებოდა. მერე ამოიოხრა და ხელი სახეზე მოისვა.

აწკრიალდა ტელეფონი.

–ოო, ექიმო, თქვენა ხართ? სწორედ, თქვენთან მინდოდა ლაპარაკი. ჰო, მე გამოვგზავნე. გასინჯეთ. იქნებ გაიგო – რატომ იქცევა ასე... იქნებ დასვენება სჭირდება... რა თქმა უნდა, არასასიამოვნოა. მე ვფიქრობ, ეს თექვსმეტწლიანი ომის ამბავია. ჩავიწერო?... მოითმინეთ, ახლავე...

პოლკოვნიკმა ავტოკალამს დაუწყო ძებნა, – დალახვროს ღმერთმა, არსად არ ჩანს... ახლა აქ იდო – მაგიდაზე.

ყველაფერი გადაატრიალა. მაგიდის უჯრებიც გადმოაქოთა... მერე ხელი ჯიბეში ჩაიყო და... სახტად დარჩა: ვაზნა, რომელიც ავტოკალამზე იყო წამოცმული, – მოყვითალო ჟანგად ქცეულიყო...

პოლკოვნიკმა ჟანგი საშრობ ქაღალდზე დაყარა. ცოტა ხანს ხმა არ ამოუღია – გაოცებული დაჰყურებდა ჟანგს... მერე ყურმილი აიღო.

–მეტიუზ! დაღეთ ყურმილი!

წკაპანი გაიგონა და სხვა ნომერი აკრიფა.

–ალლო! გუშაგია? მანდ გამოივლის ერთი... თქვენ იცნობთ მას – სერჟანტი ჰოლიხი. დააკავეთ, გესმით? დაა-კავეთ! თუ არა დაგნებდეთ – ესროლეთ!.. ჰო, მოჰკალით, გესმით?

–კი მაგრამ... იცით რა... გაისმა ყურმილში გუშაგის შეშფოთებული ხმა. – არ შემიძლია... ვერ ვესვრი...

–რაო?! როგორ ბედავთ ბრძან...

–ათას ჯერაც რომ მიბრძანოთ – ვერ მოვკლავ... თოფი აღარ მაქვს, თოფი! რა ჯანდაბა ვესროლო, ბატონო პოლკოვნიკო!

პოლკოვნიკი ყველაფერს მიხვდა. სავარძელში მძიმედ ჩაეშვა და ოფლი მოიწმინდა.

ვერც თვალი ხედავდა და არც ყურს ესმოდა, მაგრამ პოლკოვნიკმა იცოდა, რომ ირგვლივ – ცხრაასი ვერსის რადიუსით ყველაფერს ჟანგი ჭამდა, – თვითმფრინავები ჰაერში ნაწილებად იშლებოდა, ტანკები პრეისტორიულ, გაქვავებულ ურჩხულებს ემსგავსებოდნენ, დიახ, ურჩხულებს, როგორც სერჟანტი ამბობდა: საბარგო მანქანასაც ჟანგი ხრავდა და აქრობდა – რეზინის საბურავები ხელნიდან გამომხტარი ცხენებივით მიჰქროდნენ გზაზე...

–სერ! – გაისმა ყურმილში შორეული გუშაგის ხმა, რომელიც ამ საოცრებას საკუთარი თვალით ხედავდა, – ხდება რაღაც საშინელება, ყველაფერს ჟანგი ჭამს... ყველაფერი...

–მომისმინეთ, მომისმინეთ! – გააწყვეტინა პოლკოვნიკმა., – დაიჭირეთ, ყელში წაუჭირეთ, მუშტები დაუშინეთ – სცემეთ, ოღონდ დააკავეთ, შეაჩერეთ... მე ახლავე მანდ გავჩნდები!



პოლკოვნიკმა ყურმილი დააგდო და მაგიდის უჯრა გამოსწია, – შიგ რევოლვერი ეგულებოდა, ტყავის ბუდეში რევოლვერის მაგივრად... ჟანგი ეყარა. გაოგნებული პოლკოვნიკი ბუზღუნით წამოიჭრა, აქეთ ეცა, იქით ეცა, მერე სკამს წაავლო ხელი:

„ხე, – ძველისძველი, უტყუარი ხე, – იფიქრა მან, – ძველი, კეთილი წიფელი“... სკამი ორჯერ მიახეთქა კედელს და დაამსხვრია... სკამის ერთ ფეხს ხელი დასტაცა, „გამოდგება თუ არა“? – გაიფიქრა და სკამის ფეხი მაგრად ითხლიშა ხელზე.

–კი... გამოდგება! – დაიღრიალა მხეცივით და კანცელარიიდან გამოვარდა.

თარგმნა **გიორგი კაკაბაძემ.**

# ყველაზე, ყველაზე ყველაზე

ყველაზე ახალგაზრდა მასწავლებელი 12 წლის იტალიელი ლუიჯი სოლანო იყო. ლუიჯიმ 10 წლისამ დაამთავრა საშუალო სკოლა, ორი წლის შემდეგ კი კემბრიჯის უნივერსიტეტის დიპლომი მიიღო, რომელიც უმაღლეს სასწავლებელში ინგლისური ენის სწავლების უფლებას აძლევდა.

* * *

ძველებისთვის ცნობილი რიცხვებიდან ყველაზე დიდი 195955000000. იგი შუმერთა ლურსმულ ტექსტებში აღმოაჩინეს. ასეთი რიცხვებით მეცნიერები დეკარტისა და ლეიბნიცის დროსაც კი არ სარგებლობდნენ. ხოლო მცნება „მილიონი“ ევროპულ მეცნიერებაში XIX საუკუნეში შემოვიდა.

* * *

ყველაზე ძველი ანბანი ხმელთაშუა ზღვის სირიული პორტის ლატაკიას სიახლოვეს წარმოებული გათხრების დროს აღმოაჩინეს. იგი 30 ასოსგან შედგებოდა.

* * *

ყველაზე პირველი სასვენი ნიშანი „მძიმე“ XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე გამოჩნდა. იგი ვენეციელმა მესტამბემ და გამომცემელმა ალდ მუნციომ შემოიღო, მანვე შემოიღო სათაურები წიგნებში.

* * *

ყველაზე ძველი გამომთვლელი მანქანა ორი ათასი წლისაა. მისი საშუალებით ჩვენს წელთაღრიცხვამდე 65 წელს ანგარიშობდნენ პლანეტების მოძრაობის გზებს. ამ გამომთვლელი მანქანის ნახვა ათენის ეროვნულ მუზეუმში შეიძლება.

* * *

ყველაზე ცოტა ასო – 15 სამოას ანბანშია. ფინურ და იტალიურ ანბანში 21-21 ნიშანია.

* * *

ყველაზე წყალმარჩხი ოკეანეა ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანე. მისი ყველაზე ღრმა ადგილები 1000-4000 მეტრია.

* * *

ყველაზე ყინვაგამძლე თევზი დალიაა. იგი ჩუკოტკასა და ალიასკაზე ცხოვრობს ისეთ წყალსაცავებში, რომლებიც ფსკერამდე იყინება. დალია ყინულში ჩაყინული იზამთრებს.

* * *

კვამლისგან ყველაზე სუფთა ზეცა ისლანდიის დედაქალაქ რეიკიავიკს დაჰქათქათებს. ქალაქში საერთოდ არ არის საკვამურები. გათბობის სისტემა ქვეყანაში უხვად არსებული გეიზერების ცხელი წყლით მარაგდება.

* * *

ყველაზე შორეული გადაფრენის რეკორდი, დარგოლვის ცენტრალური ბიუროს მონაცემებით, პოლარულ მეთოვლიას ეკუთვნის, რომელმაც თეთრი ზღვიდან აფრენილმა ევროპისა და აფრიკის გავლით 24 000 კილომეტრი იფრინა და ავსტრალიამდე ჩააღწია.

* * *

ყველაზე მაღალი ტემპერატურა დაფიქსირდა ელ-აზიზიაში. 1922 წლის 13 სექტემბერს აქ 57,8 გრადუსი სიცხე იყო.. ყველაზე მინიმალური ტემპერატურა 89,2 გრადუსი იყო სადგურ „ვოსტოკზე“ ანტარქტიდაში 1983 წლის 21 ივლისს.

* * *

ყველაზე დიდი მიწისძვრა მოხდა განსუსა და შენსიში (ჩინეთი) 1556 წელს, მან 800 000 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

* * *

ყველაზე მაღალი მოქმედი ვულკანია კოტოპახი (ეკვადორი), რომლის სიმაღლე 5896 მეტრია. დაახლოებით 400 მეტრით ჩამორჩება მას მექსიკაში მდებარე პოპოკატეპეტლის ვულკანი.

* * *

მსოფლიოში ყველაზე დიდი უდაბნოა საჰარა (ჩრდილო აფრიკა), მისი ფართობი დაახლოებით 7 მილიონი კვადრატული კილომეტრია.

* * *

ყველაზე დიდი კუნძული გრენლანდიაა, მას 2 175 600 კვადრატული კილომეტრი უკავია.

* * *

ყველაზე დიდი მდინარე სიგრძითა და წყლის აუზითაც, ნილოსია (კაგერათი), რომლის სიგრძე 6671 კილომეტრია, წყლის აუზი კი 2 870 000 კვადრატული კილომეტრი. ნილოსზე 151 კილომეტრით მოკლეა მისისიპი (მისურით), სამაგიეროდ, მისი აუზია უფრო დიდი – 3 2 38 000 კვადრატული კილომეტრი.

* * *

ყველაზე მაღალი ჩანჩქერია ანხელი (ვენესუელა) – 1054 მეტრი.

* * *

ყველაზე დიდ ტბად კასპიის ზღვაა მიჩნეული. მისი ფართობი 371 000 კვადრატული კილომეტრია. ყველაზე დიდი სიღრმე კი – 1025 მეტრი.

* * *

ყველაზე ღრმა მღვიმეა პიერსენ-მარტენი (საფრანგეთი და ესპანეთი, პირინეის მთები) – 1332 მეტრი. ყველაზე გრძელი კი ფლინტ-მამონტოვის მღვიმეა (აშშ, კენტუკი), მისი საერთო სიგრძე 288 კილომეტრს შეადგენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „მაგარი“ გამოგონებები

## ფერადი გზავნილები ფიჭური ტელეფონით




თუ თქვენს ფიჭურ ტელეფონს NOKIA 3220 მისადგამი FUN SHELL-ს მიუმარჯვებთ, თქვენი მოკლე შეტყობინება განათებული სიტყვების სახით პირდაპირ ჰაერში გამოჩნდება. საკმარისია კლავიატურაზე ტექსტი აკრიფოთ და ტელეფონი აქეთ-იქით გააქნიოთ, რომ ჰაერში თქვენი გზავნილი აინთება, ისე რომ შეგიძლიათ მეგობრებს ფერადი მანათობელი გზავნილები გაუგზავნოთ.

## პასპორტი ფრჩხილზე

იაპონელ მეცნიერთა გამოგონების წყალობით სულ ადვილად შეიძლება ინფორმაციის ჩაწერა... ადამიანის ფრჩხილზე. ამ გამოგონების არსი ასეთია: ფრჩხილის ზედაპირზე მილიმეტრის მეათედზე პატარა დიამეტრის ციცქნა მუქი ლაქების სახით „აწერენ“ კოდს, რომელიც შეიცავს ცნობებს ამ ადამიანის შესახებ:

მის სახელსა და გვარს, ასაკს, სქესს, მისამართს და ადგილს, სადაც ის მუშაობს.

ისე რომ ამიერიდან შეიძლება ფრჩხილების კვნეტის მოყვარულები საბუთების გარეშე დარჩნენ.

## ხტუნია მაღვიძარა

ამერიკელმა ჰორი ნანდამ გამოიგონა მაღვიძარა, რომელიც იმალება. ერთი შეხედვით ეს ჩვეულებრივი საათია, რეკავს და პატრონს აღვიძებს. მაგრამ თუ თქვენ მაღვიძარას გამორთავთ და ძილის შებრუნებას გადაწყვეტთ, 10 წუთის შემდეგ ვერაგი მექანიზმი იატაკზე ჩამოხტება, გორაობას დაიწყებს და უწინდელზე ხმამაღლა რეკვას ატეხს. ისე რომ, გაიღვიძებთ თუ არა, მოხტუნავე მაღვიძარას დევნაში ძალაუნებურად დილის გამამხნევებელი ვარჯიშის ჩატარებაც მოგიხდებათ. ერთი დეტალი – იმისათვის, რათა იატაკზე ჩამოხტომისას მაღვიძარამ არაფერი იტკინოს, გამომგონებელმა ის ქურქით შემოსა.

## თხევადი სკაფანდრი ასტრონავტებისთვის



ამერიკელი მეცნიერების მიერ შექმნილი მარსზე გასაფრენად განკუთვნილი სკაფანდრი თხევადია და ის შემდეგნაირად მზადდება – სითხეს საფრქვეველათი პირდაპირ კანზე ასხურებენ ადამიანს. წყალ და აირგაუმტარი აპკი სხეულის ზედაპირზე მყარდება და უაღრესად მტკიცე ხდება, ამასთან ხელ-ფეხის სამოძრაოდ საკმარის დრეკადობას ინარჩუნებს, ისე რომ ასტრონავტებს მარსზე სრულიად თავისუფლად შეეძლებათ მოძრაობა.

# მოისმე...

## მეფე მონარქიის წინააღმდეგ?

ნაპოლეონის სახელოვანი არმიის მარშალი ჟან-ბატისტ ბერნადოტი თავისი სიცოცხლის ბოლო წლებში შვეცია-ნორვეგიის მეფე გახდა, მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე მას სხვისი თანდასწრებით პერანგი არასოდეს გაუხდია - თვით ექიმის წინაშეც კი. მონარქის საიდუმლო მისი გარდაცვალების შემდეგ გამჟღავნდა. მას ორივე ხელზე ახალგაზრდობის წლებში გაკეთებული სვირინგი ჰქონდა: „სიკვდილი მეფეს". მაშინ საფრანგეთის რევოლუციის რიგითი ჯარისკაცი ბერნადოტი გააფთრებით ებრძოდა მონარქიას.

## როგორ აღმოაჩინეს მორფიუმი

პატარა გერმანული ქალაქის პადერბორნის დაკვირვებულმა მცხოვრებლებმა შენიშნეს, რომ სამეფო პროვიზორის მოსწავლე ვილჰელმ სერტიურნერი პატარა მაწანწალა ბიჭივით ძაღლებს დასდევდა ქუჩაში. მაგრამ ალბათ უფრო მეტად გაუკვირდებოდათ, რომ დაენახათ, თუ როგორ შეჰყავდა მას ძაღლები თავის ოთახში და რაღაც თეთრფხვნილმოყრილი ძეხვით უმასპინძლდებოდა. როგორც კი ძეხვს შეჭამდნენ, ძაღლები მაშინვე დასაძინებლად დაეყრებოდნენ ხოლმე, ხოლო სერტიურნერი ხან ჯოხით და ხან კიდევ შენჯღრევით ცდილობდა მათ გაღვიძებას.

ამ ცდებით ახალგაზრდა პროვიზორი ამოწმებდა ამოუცნობი ნივთიერების ძილის მომგვრელ და ტკივილგამაყუჩებელ თვისებებს, რომლის გამოყოფაც ოპიუმისგან მოახერხა. ბერძნული ძილის ღმერთის მორფევსის საპატივსაცემოდ სერტიურნერმა ამ ნივთიერებას მორფიუმი უწოდა.

ასე იქნა 1783 წელს აღმოჩენილი პრეპარატი, რომელსაც დღესაც უდიდესი გამოყენება აქვს მედიცინაში.

## ჯერ შაშხანა, შარვალი კი მერე

ერთი ჯარისკაცი მდინარე ნევის სანაპიროსთან საგუშაგოზე იდგა. ზაფხულის მცხუნვარე მზე ზურგს უწვავდა და ჯარისკაცმა მდინარეში ბანაობა გადაწყვიტა.

ტანისამოსი გაიხადა და ის იყო გადახტა კიდევაც წყალში, რომ სწორედ ამ დროს პეტრე პირველი გამოჩნდა.

ჯარისკაცი მაშინვე ამოხტა მდინარიდან, შაშხანას ხელი სტაცა, დედიშობილა სმენაზე გაიჭიმა და მეფეს მოახსენა:

–თქვენო მაღალკეთილშობილებავ, საგუშაგოზე ყველაფერი წესრიგშია!

პეტრე პირველმა თითი დაუქნია და უთხრა:

–დღეს შენ სასჯელი დაიმსახურე, მაგრამ გაპატიებ, რადგან წყლიდან ამოსვლისას ჯერ შაშხანას სტაცე ხელი, მერე კი შარვალს.

## ტყუილი და მისი ნაირსახეობები

ცნობილმა გერმანელმა მეცნიერმა და სატირიკოსმა მწერალმა ლიხტენბერგმა უნივერსიტეტში ლექციის წაკითხვა ასე დაიწყო:

–დღეს ჩვენ ტყუილის შესახებ ვისაუბრებთ, მაგრამ სანამ ამ საუბრის ძირითად არსს გავარკვევდეთ, მინდა გკითხოთ – რომელ თქვენგანს აქვს წაკითხული ჩემი ნაშრომი – „ტყუილი და მისი ნაირსახეობები?"

ყველა სტუდენტმა ერთხმად ასწია ხელი.

–მე ასეთი წიგნი არასოდეს დამიწერია, – გაიღიმა მხიარულმა იუმორისტმა, – მაგრამ ვფიქრობ, დარწმუნდით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ის საგანი, რომელზეც უნდა ვისაუბროთ.

## უკუთარგმანი

ცნობილ რუს პოეტს მიხეილ სვეტლოვს კარგა ხანს არ ეღირსა მოლდაველი პოეტების ლექსების რუსულ ენაზე შესრულებული თარგმანისთვის განკუთვნილი ჰონორარი.

–იცით, რას გეტყვით, თუ ჰონორარის მოცემას კიდევ დიდხანს გამიჭიანურებთ, – უთხრა მან გამომცემლებს, – ავდგები და ლექსებს ისევ მოლდავურ ენაზე გადავთარგმნი.

## დუელი, რომელიც არ შედგა

დიდ ფრანგ მეცნიერთან, ბაქტერიოლოგ ლუი პასტერთან უცნობი კაცი მივიდა და თავი იმ გრაფის სეკუნდანტად წარუდგინა, რომელსაც მოსჩვენებოდა, რომ მეცნიერმა მას შეურაცხყოფა მიაყენა. გრაფი დაკმაყოფილებას მოითხოვდა, პასტერმა წყნარად მოუსმინა სტუმარს და უთხრა:

–რაკი მე დუელში მიწვევენ, უფლება მაქვს იარაღი ავირჩიო. აი, ბატონო, ორი კოლბა. ერთ მათგანში ყვავილის გამომწვევი მიკრობებია, მეორეში კი სუფთა წყალი. თუ თქვენი გრაფი დათანხმდება, რომ ერთ-ერთი კოლბიდან დალიოს, მაშინ მე – მეორიდან დავლევ.

რაღა თქმა უნდა, დუელი არ შემდგარა.

# სიცილის გაკვეთილი

* * *

სკოლიდან დაბრუნებულმა ჟაკმა დედას უთხრა:

–ტრამვაიში ერთ დეიდას შემთხვევით ფეხი დავადგი, მაშინვე ბოდიში მოვუხადე და დეიდამ კანფეტი მომცა.

–მადლობა, თუ გადაუხადე?

–არა, მეორე ფეხზეც დავადგი ფეხი.

* * *

პატარა ტომი შინ თვალჩალურჯებული დაბრუნდა.

–რამდენჯერ უნდა გითხრა! ვიდრე ჩხუბს დაიწყებდე, ასამდე დაითვალე, – გაუწყრა დედა.

–ჰო, ვიდრე მე ყვეჩივით ასამდე ვითვლიდი, ჯიმიმ კინაღამ თვალი ამომთხარა, იმას მშობლებმა ასწავლეს, ორმოცდაათამდე დაითვალეო...

* * *

მასწავლებელი: – როგორ უნდა მოვუაროთ სახელმძღვანელოს, რათა ყოველთვის ახალი და სუფთა იყოს?

მოსწავლე: საერთოდ არ უნდა გადავფურცლოთ.

* * *

–როდისაა ყველაზე საინტერესო ტელეგადაცემები?

–როცა გაკვეთილები გვაქვს სასწავლი.

* * *

მასწავლებელი: რამდენ ხანს გრძელდებოდა ქვის ხანა?

მოსწავლე: ვიდრე ქვები არ გამოილია.

* * *

მამა: კარგი მასწავლებელი გყავს, შვილო?

შვილი: რა ვიცი, კარგი კია, მაგრამ შენი შურს.

მამა: ჩემი? კი მაგრამ რატომ?

შვილი: რა ვიცი, სულ იმას მეუბნება, მე რომ მამაშენი ვიყოო...



* * *

სკოლაში პირველი სამედიცინო დახმარების გაკვეთილზე პატარა მადლენს ჰკითხეს:

–აბა, პატარავ, გვითხარი, როგორ უნდა მოიქცე თუ შენი ძმა თქვენი სახლის გასაღებს გადაყლაპავს?

–სახლში ფანჯრიდან გადავძვრები.

* * *

მასწავლებელი: რატომ ახვევენ ცეცხლწაკიდებულ ადამიანს ტანზე პალტოს ან საბანს?

მოსწავლე: რომ არ გაცივდეს.

* * *

–დედა, მე მგონი, ანდრეს სკლეროზი დაეწყო!

–რატომ გგონია?!

–იმიტომ, რომ დღეს ორჯერ დაიბანა ხელ-პირი.

* * *

ჰანსი გამალებით ღებავს ეზოს ღობეს.

–ასე რატომ ჩქარობ, ჰანს?

–მინდა შეღებვა მოვასწრო, სანამ საღებავი გამითავდებოდეს.

* * *

დედა: მამის მოტანილი ყველა სათამაშო დაამტვრიე, არა?!

პიერი: არა, დედა, ჩაქუჩიღა დამრჩა.

* * *

–დედა, რატომ მაქვს ორი თვალი, ორი ყური, ორი ხელი, ორი ფეხი, ცხვირი და ენა კი – თითო?

–იმიტომ ჩემო გოგონა, რომ ბევრი დაინახო, ბევრი გაიგონო, ბევრი გააკეთო, მაგრამ ცოტა ილაპარაკო და სადაც საჭირო არ არის, ცხვირი არ ჩაყო.

* * *

გამყიდველმა ბავშვს ფუნთუშა გაუწოდა:

–რა ღირს? – ჰკითხა ბავშვმა.

–მხოლოდ ერთი კოცნა, – იხუმრა გამყიდველმა.

–ძალიან კარგი, – უპასუხა ბავშვმა. – ხვალ ბებია მოვა და გადაგიხდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინილო — ზინილო







ეს ნახატები უაზრო ნაჯღაბნი არ გეგონოთ, ეს დრუდლებია – გამოცანა-თავსატეხები. შეურჩიეთ თითოეულ მათგანს ქვემოთ მოყვანილი ერთ-ერთი წარწერა, ნახატის მარჯვენა კუთხეში წააწერეთ საჭირო ნახატის შესაბამისი ასო.

1. ასაკგადაცილებული ძროხა.
2. ჭიას რესტორანში აქვს პაემანი.
3. გველი კიბეზე ადის.
4. ოთხი სპილო ერთი ფორთოხლით დაინტერესდა.
5. ტელეფონის ჯიხურში ვიღაც ტრომბონზე უკრავს.









# საქართველოს მომავალი



და-ძმა ქველაძეები, ხუთი წლის ანა და ოთხი წლის გიორგი



მარიამ გორგოძე



თბილისის 51-ე საშუალო სკოლა, I კლასი, ხელმძღვანელი ლია თალაკვაძე



თბილისის 51-ე საშუალო სკოლა, I კლასი, ხელმძღვანელი ქეთინო რჩეულიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი გალერეა

648/30



ქეთევან სიორიძე
თბილისის №1 კლასიკური გიმნაზია, IV კლასი













ლუკა ტყემალაძე
5 წლის



